


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საცემში, დღემდე ბეჭდვადი სიფყვას, ფეხილებით და ჭაბჭობით ბუბთის გაღვანა ყველა უკადრისმდებელ უსამაგლესია.



შაბათი, 2 აპრილი. 2016 წ. №61 (7953), გამოცემის 98-ე წელი

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.

ლევან ბარკანიშვილი:
ყველა გამოვცდით,
როგორ
მუყვარვართ
ქართველ ხალხს



გუგაზ სანიკიძე:
...უმრავლესობაში
ვეღარ
დავრჩებით!



იკო ინაშვილი:
ბლოკში
გაერთიანებას
არ გამოვრისხებ



დავით ზურაბიშვილი:
როდესაც სააკაშვილი
იტყუებოდა, ამ ტყუილს
სამი ტელევიზია ერთად
გადმოსცემდა. ახლა ეს
პლარ ხდება. ამიტომ, ახლა
თუ რამეს არანორმალ
ვაკითხავთ, ეს
სხვანაირად უნდა იყოს.



**„ნულოვანი ტოლერანტობა!“
– რა სუინოლებაა
ეს ყველაფერი...**

უკრაინული პრესა და სააკაშვილის კლანი

რატომ ჰყავს ამდენი თანამემამულე ირგვლივ ოდესის გუბერნატორს? რა მიზეზი აქვს დასახული მიხეილ სააკაშვილს, როცა თანამდებობებზე მასავეთ საეჭვო და ძეხნილ ადამიანებს ნიშნავს? ხომ ყველა იცის, რომ მიხეილ სააკაშვილის რეფორმების გამოცდილება მხოლოდ ორ სიგყვაში გამოიხატება – „ნულოვანი ტოლერანტობა“? რა ამრია ჩადებული მის ნათქვამში – „გადავაქციოთ ოდესა 2011 წლის თბილისად“?, ანუ კორუფცია მაღალ ეშელონებში და ასობით ათასი ადამიანი ციხეში?



**საჭესთან ფენოვანი საჭაპურის
ჭამა, მოზილური ტელეფონით
სუბარის სისტემაზე აიპრძლება 11**

**ნოდარ ჭითანაძე –
კასი, როგელსაც
კასისა აქვს
ყველა თვისება**



**ქრამერი:
დასავლეთმა
საქართველოს
უნდა მიხედოს!**



**ბრუშკო:
უკრაინისა და
საქართველოს ნატოსთან
შეერთება ევროპას
კრიზისის ზღვარზე
დააყენებს**



**ნუზარ ასათიანი –
მუშაკტერი „რკინის“
ხელითა და ხასიათით**



კარგი აზრები

ჯილდო – „ატომები ევროპისათვის“ საქართველომ დაიმსახურა

საბარტომელოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი თეთრ სახლში აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას სახელით გამართულ სადილს დაესწრო და ბირთვული უსაფრთხოების სამიტში მო-

მნიშვნელოვანი გამონაკვეთი გამოხატა და ცილის მიმართულებით, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების კუთხით. არ არის საიდუმლო, რომ ზოგიერთმა ტერორისტულმა

ავიცილოთ თავიდან ტერორისტების მიერ მასობრივი განადგურების იარაღის მოპოვება, ჩვენ ვაღიარებთ ვართ, გავაძლიეროთ არსებული უსაფრთხოების არსებული არქიტექტურა.

როგორც ჩანს, ამ მიზნების მიღწევა შესაძლებელია. ამ მხრივ, საერთაშორისო შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება საერთაშორისო საზოგადოებამ პრიორიტეტად უნდა აქციოს.

საქართველომ მიიღო ახალი კანონი „სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის შესახებ“, რომელმაც სტრატეგიული ექსპორტის კონტროლის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა გაუთანაბრა ევროპულ სტანდარტებს.

რაც მთავარია, როგორც გათვალისწინებული იყო 2014 წლის ბირთვული უსაფრთხოების სამიტის კომუნიკეში ჩვენ განვახორციელეთ მაღალგამდობრული ურანისა და რეპატრირებული მაღალი გამდობრული ურანის რეპატრაცია აშშ-ის ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს ძლიერი მხარდაჭერით. აქედან გამომდინარე, დღეს მე წარმოვადგენ საქართველოს, როგორც არაბირთვულ სახელმწიფოს.

საქართველოს ბირთვულ უსაფრთხოებაში შეტანილი წვლილისათვის ჯილდო – „ატომები მშვიდობისათვის“ გადაეცა.

საქართველოს დაჯილდოების გადაწყვეტილებაზე განსაკუთრებული გავლენა საქართველოს ინიციატივით მაღალგამდობრული ურანის რეპატრაციის ფაქტმა იქონია.



ნაწილზე ქვეყნების ლიდერებს სიტყვით მიმართა.

„ჩემთვის დიდი პატივია, სიტყვით მივმართო ბირთვული უსაფრთხოების სამიტს, რომელმაც ერთად შეკრიბა გამოჩენილი სახელმწიფო ლიდერები, რათა შეიქმნას სტაბილური მსოფლიო წესრიგი, ერთიანობისა და ძლიერი საერთაშორისო თანამშრომლობის გზით.

ბატონო პრეზიდენტო, თქვენ საფუძველი ჩაუყარეთ მნიშვნელოვან დისკუსიებს, რომელიც ხელს უწყობს ჩვენს ძალისხმევას, გავაძლიეროთ გლობალური ბირთვული უსაფრთხოება. ჯერ კიდევ სახეზეა მრავალი

ჯგუფებმა უკვე აჩვენეს მწვავე ინტერესი მასობრივი განადგურების იარაღით მსოფლიოს და ტერორისტების შესახებ.

თეორიულად რომ ვთქვათ, ტერორისტებმა შეიძლება უკანონოდ მოიპოვონ ბირთვული იარაღი და ტექნოლოგიები. აქედან გამომდინარე, ერთ დღეს, ბირთვული ტერორიზმის საფრთხე შესაძლოა, საკმაოდ მკაფიო ფორმები შეიძინოს.

ჩვენ გვჯერა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე მდგარი ძირითადი გამოწვევები კომბინირებული ძალისხმევით უნდა დაიძლიოს.

იმისათვის, რომ ეფექტიანად

აკაკალ გულში

ნანა მჭედლიძემ გააკეთა... უბრალოებით!

● მიუხედავად იმისა, რომ რესპეკტმა, ოცნებამ და ფორუმმა განაცხადეს – არჩევნებში ცალკე გაგვალთო, მრევნელები ამჟერადაც განსხვავებულ პოზიციებზე რჩებიან და არჩევნებში გავლენა ძველებურად, კოალიციურ ფორმატში – ოცნებასთან, რესპეკტთან და ფორუმთან ერთად!

● „ოცნება“ ვნახე დაშლილი, ყვავ-ყორნებს ეომებოდა...

● დავით ბერძენიშვილი ბავშვობაში გადაადრდა ახლახან: თინათინ ხიდაშელს, ვერც კარასინი მოერევა და ვერც ვინმე სტალინელი...

● ბავშვები საკუთარ მამებს ვთვლი-დით ყველაზე ძლიერად, თუმცა სტალინი მაინც კონკურსგარეშე იყო.

● მე, მაგალითად, მიმანდა, რომ ალვის ხეზე ასვლას, მხოლოდ სტალინი და სტუდენტები (ზოგადად) თუ შეძლებდნენ.

● ქართული კინო სადღაა, მაგრამ გატრიაჩებული კულტურის და ხელოვნების მამები და დედები, ბებიები და ბაბუები სად იყვნენ?

● ნანა მჭედლიძის ოდენ საქმეს მთელი კულტურის სამინისტრო ვერ იქმთ, თქვე ყავიყლაპიებო.

● ზოგადად, ნანა იმიტომ იყო დიდი, რომ მან ზუსტად თქვა საუკუნო სათქმელი „ჩინოლაგს“ და „ეჩინვლინებოან“, სხვა რა უნდათ პოლიტიკოსებს თუ პოლიტრაკოსებს.

● კიდევ ერთხელ გაჯობათ ნანამ, გაჯობათ უბრალოებით.

● ნანას კი არ სჭირდებოდა დაფასება თქვენგან, თქვენ არ მოგეჭრებოდათ თავი.

ამოკრება
გია ბაბარიძე

ამაჰმად ვასაჰი: გამოიძიეთ დაგინდა, რომ არც პეტი კალრი 2012 წლის 1 ოქტომბრის უმაღლესი არ არის მოქმედი



საბარტომელოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის მამუკა ვასაჰის ინფორმაციით, გავრცელებული ფარული ჩანაწერები საქართველოს ტერიტორიიდან არ არის ავტორიტული.

როგორც ვასაჰი მთავარ პროკურატურაში აღნიშნულ საქმეზე მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, გამოძიებით დადგენილია, რომ არც ერთი კადრი 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ არ არის შექმნილი. „შედეგებსა და კონკრეტულ გატარებულ ღონისძიებებზე ამ ეტაპზე ისევ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ვერ ვიტყვი, თუმცა რაც ერთმნიშვნელოვნად შემიძლია გითხრა, რომ საქართველოს ტერიტორიიდან ავტორიტული არ არის ეს ფაილები.

გატანას რაც შეეხება, როგორც გამოძიებით გვაქვს დადგენილი არც ერთი კადრი 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ არ არის მოპოვებული, არ არის შექმნილი. შესაბამისად, 2012 წლის ოქტომბრამდე პერიოდში ვინც ასეთი კადრების წარმოებას სავარაუდოდ, შექმნას ახორციელებდა, ნაწილი ამ პიროვნებებისგან არის ძეხნილი, ნაწილს დატოვებული აქვს საქართველოს ტერიტორია და რთულია, პროგნოზირება იმი-სა, ვინ რომელ ქვეყანაში ვის გადასცა, რა მიზნით გადასცა და რაში გამოიყენებ“, – განაცხადა მამუკა ვასაჰი.

სამ რაიკინდეთ, არასამთავრობო!

მსგავსი ტიპის კომპლექსური საქმეები, რომლებიც მოიცავენ კიბერკომპონენტებს და ატარებენ ტრანსნაციონალურ ხასიათს, არის განსაკუთრებით რთულად გამოსაძიებელი, მოითხოვს საერთაშორისო თანამშრომლობას სხვადასხვა დონეზე და საჭიროებს დიდ დროს შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების დასრულების თვალსაზრისით.

ქეთლინ კინინგი
ამერიკიდან.

მსოფლიო ბანკი საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობს



მსოფლიო ბანკის ჯგუფი საქართველოს მთავრობის ოთხპუნ-ქტიანი რეფორმების გეგმას მიესალმება, – ამის შესახებ მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში მერსი ტემ-ბონმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვიციანიშვილთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

ოფიციალურ იცნობით, საუბრის ძირითადი თემა იყო საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის პარტნიორობა-თანამშრომლობის სტრატეგიის ფარგლებში, რომელიც 1,2 მილიარდი დოლარის ღირებულების პროგრამაა.

მსოფლიო ბანკი პროგრამის იმპლემენტაციის პროცესს დადებითად აფასებს.

„ეს არის პროგრამა 2014-2017 წლებისთვის და ჩვენ ვიმსჯელებთ პროგრამის განხორციელების გზაზე მიღწეულ წარმატებაზე, რომელიც უკვე დასასრულს უახლოვდება. ჩვენ მივესალმებით მთავრობის 4-პუნ-ქტიანი რეფორმების დღის წესრიგს, რომელიც განათლებას, ინფრასტრუქტურას და საჯარო სექტორის ეფექტიანობის ზრდას გულისხმობს და ვიმედოვნებთ, რომ ეს იქნება ნაბიჯი ახალი პროგრამის მომზადებისთვის, რომელიც 2018-2020 წლებში დაიწყება. ვიმუშავებთ საქართველოს მთავრობასა და პარტნიორებთან ერთად, რომ ეს დღის წესრიგი წარმატებით განხორციელდეს. ჩვენ ძალიან ოპტიმისტურად ვართ განწყობილი ამ მიმართულებით“, – განაცხადა მერსი ტემბონმა.

შეხვედრას საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის რეგიონული მენეჯერი სამხრეთ კავკასიაში იან ვან ბილსენი და ეკონომიკური საბჭოს მდივანი, ბიზნესომბუდსმენი გიორგი გახარია დაესწრნენ.

ამბარაი საქმეების გამოძიება მოითხოვს დიდ დროს და სამართალის თანამშრომლობას!

პროკურატურაში გაართულ ბრიფინგს აშშ-ის საელჩო ეხმარება

პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოკადრების გავრცელებაზე დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების პროცესის შესახებ საქართველოს მთავარ პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს სამართლებრივი ატაშემ ქეთლინ კინინგმა განაცხადება გააკეთა. ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.



სამართალის პროკურატურა

„გამოძიების ფედერალურ ბიუროს მომართა საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ამ განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეში დახმარების აღმოჩენის თხოვნით. მსგავსი ტიპის საქმეებში ჩვენი გამოცდილების გათვალისწინებით, ჩვენ გადავწყვიტეთ ტექნიკური და საგამოძიებო დახმარე-

ბა აღმოგვეჩინა პროკურორებისა და გამოძიებლებისთვის. დარწმუნებული ვართ, რომ საგამოძიებო ჯგუფი სრულყოფილად იკვლევს ყველა შესაძლო მიმართულებას დანაშაუ-

ლზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირების მიზნით. მსგავსი ტიპის კომპლექსური საქმეები, რომლებიც მოიცავენ კიბერკომპონენტებს და ატარებენ ტრანსნაციო-

ნალურ ხასიათს, არის განსაკუთრებით რთულად გამოსაძიებელი, მოითხოვს საერთაშორისო თანამშრომლობას სხვადასხვა დონეზე და საჭიროებს დიდ დროს შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების დასრულების თვალსაზრისით. ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურა უწყვეტი თანამშრომლობის პირობებში მოახდენს პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას და მათი ადგილსამყოფელის მიუხედავად, წარადგენს მათ მართლმსაჯულების წინაშე. ამერიკის შეერთებული შტატებში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, პირებს, რომლებიც შესაძლოა ფლობდნენ რაიმე ინფორმაციას აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, მოვუწოდებთ, დაუკავშირდნენ საქართველოს მთავარ პროკურატურას ან სხვა სამართალდამცავ ორგანოს“, – აღნიშნა ქეთლინ კინინგმა.

SOS! SOS! SOS!

დასავლეთმა საქართველოს უსაფრთხოება უნდა დაიხვეწოს!

კრამერი: რუსეთმა ჯავრი შეიძლება, საქართველოზე იყაროს

„ივლისში ნატოს ვარშავის სამიტმა და საქართველოში საპარლამენტო არჩევნებმა შესაძლოა, რუსეთსა და საქართველოს შორის კონფრონტაცია გამოიწვიოს“,- ამის შესახებ „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მაკკეინის ინსტიტუტის უფროსმა დირექტორმა ადამიანის უფლებების მიმართულებით დევიდ კრამერმა განაცხადა.

მისი აზრით, 2008 წლის ომი სწორედ ნატოს ბუქარესტის სამიტს უკავშირდება, კერძოდ, იმას, რომ „მიუხედავად იმისა, რომ ბუქარესტის კომუნიკეში აღიანი-სმა განაცხადა, რომ საქართველო ნატოს წევრი აუცილებლად გახდება, მაშინ საქართველოს სამოქმედო გეგმა არ შესთავაზეს. ამ განცხადებიდან რამდენიმე თვეში კი რუსეთი საქართველოში შეიჭრა“.

ექსპერტს მიაჩნია, რომ ვარშავის სამიტთან ერთად, მომავალი საპარლამენტო არჩევნებზე გასათვალისწინებელი ფაქტორია, რადგან რუსეთმა შიდა პოლიტიკური მდგომარეობა შეიძლება, საკუთარი ინტერესების დასაცავად გამოიყენოს.

„ეს არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთი „ქართულ ოცნებას“ ან „ნაციონალურ მოძრაობას“ უჭერს მხარს. შეიძლება მოსკოვს საკუთარი ფავორიტი ჰყავს და თუ კრემლმა ის დაინახა, რომ ამ ძალას საკმარისი პროგრესი არა აქვს, რუსეთი შეიძლება ღიად ან ფარულად ჩაერთოს პროცესებში. ასევე არის შესაძლებ-

ლობა, რომ ზოგიერთმა ადგილობრივმა ძალამ – მაგალითად, სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობამ – რუსეთის ინტერვენციის პროვოცირება მოახდინოს“,- ამბობს ექსპერტი.

მისივე თქმით, რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ აგრესიის გაძლიერება რუსეთის ეკონომიკის სიჯანსაღეზეცაა დამოკიდებული.

„ვირიმის ანექსიის შემდეგ დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციებისა და ნავთობზე რეკორდულად დაბალი ფასების გამო რუსეთის ეკონომიკას დიდი ზარალი მიადგა. ეკონომიკური ფონის დაძვინტანება შესაძლოა, ქვეყანაში კრემლის მიმართ უკამყოფილება გაზარდოს. ამ შემთხვევაში, პრეზიდენტი პუტინი მოსახლეობის ყურადღების გააღებას გაერე, პატრიოტულ ფაქტორზე ეყრდნობა. საქართველო ამისთვის ერთ-ერთი საუკეთესო სამიზნე იქნება“,- მიაჩნია ექსპერტს.

კრამერი საქართველოს უსაფრთხოებას ისეთ საერთაშორისო ფაქტორებზეც უკავშირებს, როგორცაა რუსეთის სამხედრო ოპერაცია სირიაში და კრემლის აგრესია აღმოსავლეთ უკრაინაში.

„უკრაინაში რუსეთს გარკვეული გამოუვალი სიტუაცია შეექმნა. პრეზიდენტი პუტინმა არ იცოდა, როგორ გამოსულიყო ამ სიტუაციიდან. ჩემი აზრით, მან სირიაში ჯარი სწორედ უკრაინის ფაქტორის გათვალისწინებით შეიყვანა“,- ამბობს კრამერი.

საქართველომ ყველას დაინახა, რომ საერთაშორისო უსაფრთხოებაში საკუთარი წვლილის შეგანა შეუძლია. ახლა, ჩვენი ჯერია საქართველოს სამაგიერო გადავუხადოთ



მისი აზრით, იგივე სცენარი შეიძლება კვლავ განმეორდეს თუ უკრაინაში ან სირიაში მდგომარეობა დამძიმდა.

– პუტინმა შეიძლება სცადოს ჯავრი საქართველოზე იყაროს და ამით სხვა მიმე სიტუაციებზე რუსის ხალხის ყურადღება მოაღწეროს. თუმცა, ვითარების ინტერპრეტაცია სხვა არგუმენტსაც აჩენს. რუსეთის ფედერაცია უკრაინაში მიღებული შედეგით კმაყოფილია. ამასთან, სირიაში პრეზიდენტ ბაშარ ალ ასადის მიერ რუსეთის სამხედრო დახმარებით დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოზე“ მიტანილი წარმატებული იერიშების შედეგად პუტინი დღეს თავს გამარჯვებულად მიიჩნევს. ამასთან, რუსების უმრავლესობას მიაჩნია, რომ პუტინმა რუსეთი იმ სახელმწიფოდ აქცია, რომელსაც ანგარიში უნდა გაენიოს. ამ სიმხნევიტ ნაქვედებულმა რუსეთმა შეიძლება იფიქროს, რომ სწორედ ახლაა დრო, სხვა მიზნებსაც მიაღწიოს და საქართველოს ნატოსთან დაახლოება კიდევ ერთხელ შეაჩეროს, – ამბობს კრამერი.

საქართველოს დასავლეთთან დაახლოება და საბოლოო ჯამში, ევრო-

სტრუქტურებში გაწევრიანება, თბილისთან ერთად დასავლეთის ინტერესებშიც უნდა შედიოდეს. კრამერი ამბობს, რომ საქართველოს დიდი პროგრესი აქვს, რეგიონში სამაგალითო ქვეყანაა და გამორჩეულად პრო-დასავლურია. დასავლეთმა ეს უნდა დაინახოს და დააფასოს.

„საქართველომ ყველას დაინახა, რომ საერთაშორისო უსაფრთხოებაში საკუთარი წვლილის შეგანა შეუძლია. ახლა, ჩვენი ჯერია საქართველოს სამაგიერო გადავუხადოთ, – ამბობს კრამერი.

საქართველოს დასავლეთში ბევრი მეგობარი ჰყავს, რომლებსაც ქვეყნის წარმატება სურთ. კრამერი ამბობს, რომ ნატოს ვარშავის სამიტისა და საქართველოში საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად რუსეთიდან მომავალი საფრთხეები იზრდება. გავლენიანი ექსპერტი ამერიკაში პოლიტიკის შემუშავებლებს საქართველოს უსაფრთხოებისთვის მეტი ყურადღების დათმობისკენ მოუწოდებს.

დავით ზაზრატიონი

პატრიოტთა კლინისი სხვა პარტიების პირთ ბლოკში გაერთიანებას არ გამოპრისხავს

პარტიის საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ლიდერის ირმა ინაშვილის განცხადებით, თუ მისი პარტია რომელიმე სხვა სუბიექტისგან გარკვეულ წინადადებებს მიიღებს, ის ბლოკში გაერთიანებას არ გამოპრისხავს.



„ერთდღეობა არაერთი ვერსია და მიწვევს კომენტარის გაკეთება წინასაარჩევნოდ შესაძლო კონფიდურაციებზე. მე პირდაპირ გეტყვით, რომ არაპირი საუბარი ჩვენსა და ბატონ გოგი თოფაძეს შორის, რომელსაც მე ძალიან დიდ პატივს ვცემ და კარგად ვიცნობ, არ ყოფილა. არ ყოფილა საუბარი არც კახი კალაძისთან, არც კახა შარტავასთან, არც ქალბატონ ბურჯანაძესთან. თუ იქნება მათი მხრიდან რაღაცა წინადადება, თუ იქნება რაღაცა შემოთავაზება, ცხადია, ვიფიქრებ ჩვენ ამაზე“, – განაცხადა ირმა ინაშვილმა.

„ეროვნულ ფორუმს“ დაასრულს, მებრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს

„ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი გუბაზ სანიკიძე აცხადებს, რომ „ფორუმი“ ცალკე აპირებს არჩევნებში მონაწილეობას. რაც შეეხება კოალიციაში დარჩენას, მისი თქმით, თუ „ფორუმი“ კოალიციაში არ დარჩება, მაშინ უმრავლესობაშიც ვეღარ დარჩება და ეს პრობლემას შეუქმნის პარლამენტს.



„რესპუბლიკელებმა და ოცნებამ, ფაქტობრივად, დაგვასწრეს, გადამწყვეტილება მიიღეს. დღის წესრიგი გარკვეულწილად შეიცვლება ჩვენს ყრილობაზე. უკვე ვეღარ დავმალავთ, რომ ფორუმი ცალკე აპირებს არჩევნებში მონაწილეობას. მთავარი სიმძიმის ცენტრი ამ შევითხვავზე გადავიდა – ფორუმი დარჩება თუ არა კოალიციაში. კოალიციაში თუ არ დავრჩებით ჩვენ, მაშინ უმრავლესობაშიც ვეღარ დავრჩებით. უმრავლესობის გარეშე პარლამენტს ცოტა გაუჭირდება მუშაობა“, – განაცხადა გუბაზ სანიკიძემ.

ყველა გამოვსდით, როგორც ვუყვარვართ ქართველ ხალხს

ამის შესახებ რესპუბლიკელების წარმომადგენელმა ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა. ბერძენიშვილის თქმით, არავითარი ბლოკი არ იქმნება.



„ერთხელ და სამუდამოდ შევანწყვეტინებთ მტერს და მოვყვარვართ საუბარს, როგორ ვერ გვიტანენ. თუ ვერ გვიტანენ, წავალთ სახლში, – განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა. კოალიცია დაიშალა, ხელი-სუფლება ჩამოიშალა... საქართველოში იწყება ახალი პოლიტიკური პროცესი.“

„ლიბერალუბთან ჩვენ არასოდეს ვითანამშრომლებთ“

„მრინველიბის“ წარმომადგენლებს ჯერ არ გადაუწყვეტიათ, არჩევნებში რა ფორმატით მიიღებენ მონაწილეობას. როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ აღნიშნა, კონსულტაციები აღნიშნულთან დაკავშირებით აუცილებლად გაიმართება. „არსებობენ განსხვავებული პოლიტიკური მიმართულებების პარტიები, მემარჯვენეები, მემარცხენეები, ცენტრისტიები ლიბერალური და აშ. თუმცა, მათ გარკვეული საერთო აქვთ. ლიბერალუბთან ჩვენ არასოდეს ვითანამშრომლებთ. ჯერ შიდაპარტიული კონსულტაციები გვექნება, შემდეგ პოლიტიკურ პარტიებთან. მოვლენებს ჯერ წინ ნუ გადავსწრებთ. პირველ რიგში, განვიხილავთ კოალიციაში შემავალ პოლიტიკურ სუბიექტებს“, – განაცხადა ზურაბ ტყემალაძემ.



რესპუბლიკური პარტიის წევრი დავით ზურაბიშვილის განცხადებით, შეცდომების გაშუქების მეთოდების გამო, რესპუბლიკურ პარტიას ჰქონდა სერიოზული უთანხმოება მმართველ ძალასთან.

„ყველაფერი უფრო რუტინად არის ქცეული. მივ-

გვებით ინერციას. სახიფათო ტენდენციები მიიღო უკვე წინა ხელი-სუფლების პრაქტიკის გამოყენებამ. აი, მაგალითად, როდესაც სააკაშვილი იტყუებოდა, ამ ტყუილს სამი ტელევიზია ერთად გადმოცემდა. ახლა ეს აღარ ხდება. ამიტომ, ახლა თუ რამეს არასწორად ვაკეთებთ, ეს სხვანაირად შუქდება. ეს ის პრობლემებია, რომელთა გამოც, რესპუბლიკურ პარტიას ჰქონდა სერიოზული უთანხმოება მმართველ ძალასთან. ჩვენ წამოსვლა არ ყოფილა იმის გამო, რომ ვიღაცას თანამდებობები არ ჰქონდა. ჩვენ ვთვლით, რომ საკმაოდ ბევრი თანამდებობა გვაქვს და საკმაოდ მაღალიც. იმ მიმართულებებზე, რაც აბარია რესპუბლიკურ პარტიას, ჩვენ, ასე თუ ისე, წარმატებით ვუძღვებით“, – განაცხადა ზურაბიშვილმა.



„ან სამეზს გააქვითვს ან მისი თაპი ქალაქში გაბორღება“

ბორის თვითმმართველობაში დაპირისპირებაა. ირაკლი ოქრუაშვილი გორის მერს ზურაბ ჯირკველიშვილს იურული პერიოდის გამომწამოს უწოდებს და აცხადებს, რომ ის ან საქმეს გააკეთებს ან მისი თავი ქალაქში გაგორდება. ოქრუაშვილმა ეს განაცხადა მას შემდეგ გააკეთა, რაც მის ინიციატივებს საკრებულოს სხდომაზე ჯირკველიშვილმა წინააღმდეგობა გაუწია.

ოქრუაშვილი საკრებულოს დეპუტატებს გორში ლომჭაბუკის ძეგლის სახელობის მონუმენტის მოწოდებას სთავაზობს. მისი თქმით, სამი წლის წინ, მას შემდეგ რაც ძველი ბაზარი დაიხურა და მოვაჭრეები აღნიშნული ტერიტორიიდან გააძევეს, უკმაყოფილო დარჩნენ მყიდველებიც და გამყიდველებიც. დეპუტატებისთვის კი მიუღებელი აღმოჩნდა ის საკითხი, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან – ლომჭაბუკთან, ბაზარმა იმუშაოს. უმრავლესობის გადაწყვეტილებით, საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. დეპუტატების ამ გადაწყვეტილებამ მოვაჭრეების უკმაყოფილებაც გამოიწვია, რომლებიც სხდომას ესწრებოდნენ.



რაც შეეხება მეორე ინიციატივას – ქალაქის ბაგა-ბაღებიდან რაიონში რეგისტრირებული ბავშვების სასწავლო წლის დასრულებისთანავე გარიცხვას ან მათი დაფინანსების რაიონის ბიუჯეტისთვის გადაბარებას ეხებოდა. პირველი საკითხი გორის საკრებულოს დეპუტატებმა უკან გაიტანეს, ხოლო მეორე საკითხს უარყოფითი დასკვნა მისცეს.

– უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელმა რუსული პროპაგანდის მომსახურებასთან დაკავშირებით დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ საქართველოში არა მხოლოდ რუსული, არამედ მეზობელი და სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებიც მუშაობენ. მეზობელი ქვეყნიდან ორს სტრატეგიულ პარტნიორად განვიხილავთ. რუსეთი ქვეყნის უსაფრთხოების მთავარ გამოწვევად სახელდება. მსგავს ვითარებაში რამდენად მიზანშეწონილი იყო მეზობელი ქვეყნების ამ კონტექსტში მოხსენიება?

– ზოგადად, მინდა, ვთქვა, რომ პროგრესია. არასდროს ყოფილა, რომ საქართველოს სპეცსამსახურები ანგარიშით წარმდგარიყვნენ პარლამენტის წინაშე. ეს პირველი შემთხვევაა და გარკვეული დადებითი ამაში არის. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, ამაში მე ვერ დავინახე ან პოლიტიკური მინიშნება, ან არამეგობრული განცხადება. გერმანია შეერთებული შტატების ერთ-ერთი სტრატეგიული პარტნიორია, მაგრამ მათ სპეცსამსახურებს შორის ხანდახან მკაცრი კონკურენციაა და ხანდახან მკაცრი საუბარიც. ეს იგივე ფარულ მოსმენებს ეხება, რომელსაც შეერთებული შტატების სპეცსამსახურები ახორციელებდნენ. ბატონმა გომელაურმა რეალური სიტუაცია აღწერა.

ზოგადად, სპეცსამსახურების მუშაობის სპეციფიკაა, იმუშავონ როგორც ოპონენტი, ისე მეგობარი ქვეყნების შენახებ ინფორმაციის მისაღებად. აქ საუბარი არ არის რაიმე ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებზე. ეს არის ჩვეულებრივი პროცესი. ჩვენს მეგობარსაც ასევე აინტერესებს, ჩვენთან შიდა პოლიტიკური პროცესი როგორ ვითარდება, როგორია რეალურ ძალთა განლაგება პარლამენტში, აღმასრულებელ ხელისუფლებაში და ა.შ.

– გასაგებია, რომ ყველა სახელმწიფოს თავისი ინტერესი აქვს, მათ შორის – სტრატეგიულ პარტნიორსაც. ბუნებრივია მუშაობენ სპეცსამსახურებიც, მაგრამ ამის ღიად თქმა რამდენად მიზანშეწონილია?

– საზოგადოებას და მასმედიას ამ თემატიკისგან შორს დგანან და დილექტანტიზმიც ჩანს. ამაში დასაძრახი არა-

თბილისი ჯაშუშთა ქალაქია!



სახურის წარმომადგენელი იდენტიფიცირებულია და მას მუშაობის უფლება ეძლევა? მე მაქვს უფლება, ის ჯაშუშობისთვის დაგაკავო...

– საინტერესო შეკითხვაა, მაგრამ სპეციფიკაც უნდა გავითვალისწინოთ. ტერმინი „მუშაობენ“, ჩემი აზრით, გულისხმობს იმას, რომ მიდის მუშაობა როგორც ჩვენი ინტერესების საზიანოდ, ასევე თავიანთი ინტერესებისთვის, თუმცა, ჩვენი ინტერესების არასაზიანოდ. ვთქვათ, ისრაელის სპეცსამსახურები დაინტერესებული არიან აქ არაბული სამყაროს წარმომადგენლებით, ბიზნესით, საელჩოებით. თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ურთიერთობები გასაგებია. ეს, ასე ვთქვათ, მთელი ჯაშუშობის რეალობაა. რთული იცით, რა არის სპეცსამსახურების მუშაობაში? შე-

რე, ნამდვილად ვერ ჩათვლებოდა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების წინააღმდეგ გადამღმულ სერიოზულ ნაბიჯად. ერთადერთი შემთხვევა იყო, თუ არ ვცდები, აფხაზეთის ომის დროს, დააკავეს რუსეთის სამხედრო დაზვერვის აგენტი. შემდეგ ის რუსეთს გადასცეს. 2006 წელს, როდესაც დააკავეს სამი პირი, საუბარი იყო რუსეთის სამხედრო დაზვერვის თანამშრომლებზე, შესაძლოა, ყოფილიყო ვარაუდი, მაგრამ არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომელიც ჩვენს პოზიციას გაამყარებდა და ეს გამოვიდა ზედაპირული. ჯაშუშობის მტკიცებულებების გამოკრებას აქვს თავისი კრიტერიუმები. საჭიროა მტკიცებულებათა ერთობლიობა. ბატონი გომელაურის განცხადებას არ გამოუწვევია ჩემში დაბნეულობა იქიდან გამომდინარე, რომ ეს ინტერვიუ იყო და არა ანგარიში. აქედან გამომდინარე, მინდა, ამას მოზომილად მივუღებ. თუმცა, გეთანხმებით შეფასებაში, რომ მუშაობის შედეგი უნდა ჩანდეს და ეს უნდა აისახოს ანგარიშში.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო ისიც, რომ რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, მას შემდეგ გრძელდება სამწახარო ტრადიცია ქართული სპეცსამსახურებისგან მტრის ხატის შექმნისა. ეს – მაშინ, როდესაც უმრავლეს ქვეყანაში ამჟამად საკუთარი სპეცსამსახურებით, ყოველ შემთხვევაში, არ ეზიზღებათ მაინც. იგივე გამოჩნდა უნივერსიტეტშიც. მტრად აცხადებენ იმ ხალხს, ვისაც სპეცსამსახურებში უმუშავია, ასე არ შეიძლება. როგორ უნდა მოვიხილოთ ასეთ პირობებში ახალგაზრდა კადრები?! თან ვსაუბრობთ ეროვნულ ინტერესებზე და საერთოდ არ ვფიქრობთ, როგორ დავიცვათ ის. ჩვენ გვაქვს სპეცსამსახურების კადრების პრობლემა. ხომ უნდა ვენდოთ, ინფორმაციის გაანალიზება მაინც ხომ უნდა მოხდეს?! არ იციან, რომ „ოდერი“ არის ოფიციალური თანამშრომელი, ის უნდა მუშაობდეს სუს-ში და უნდა იყოს მივლენილი კონ-

კრეტულ ადგილზე. თავად ეს „ოდერი“ თემა ხელოვნურად არის ატაცებული და რატომ არ ფიქრობენ არასამთავრობოები, რომ ჩვენს მტერს სწორედ ეს უნდა?! იგივე რუსეთის ინტერესებშია, რომ საზოგადოება თავისი ქვეყნის სპეცსამსახურებს გაემიჯნოს. აქ თანამშრომლობაზე კი არ არის საუბარი, უკვე ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ მარგინალიზებული გახდა სპეცსამსახური. კადრები საიდან უნდა მოვიხილოთ? იგივე უნივერსიტეტებიდან, ხომ, რომლებიც პატრიოტები და პროფესიონალები უნდა იყვნენ ჩვენ ემოციებს ვართ აყლილი და ზოგჯერ რაციონალური აზრი არ გვაქვს. უნივერსიტეტები სპეცსამსახურებისთვის, ასე ვთქვა, აღმოჩენაა. არადა, სწორედ აქედან ხდება გადაბირება, გაზრდა, დანაშაულება. ამაში დიდი ინვესტიციები იდება. გარდა ამისა, ტერორიზმის რეალური პრობლემებია. დეკანს და სასწავლებლის ადმინისტრაციას ნუ მოვთხოვთ პასუხს კითხვაზე, ხომ არ ატარებს იქ ვინმე, ვთქვათ, „ისლამური სახელმწიფოს“ აგიტაციას და პროპაგანდას.

– როდესაც საუბრობთ ნდობაზე, ხომ არ ფიქრობთ, რომ მსგავს დამოკიდებულებას თავად მათი ქმედებები განაპირობებს? მაგალითად მოვიყვანო დავით ბორჩაშვილის საქმეს, რომელიც ბატონმა იზორიამ პარლამენტში ანგარიშის წარდგენისას ახსენა. ბორჩაშვილი თბილისსა და ანკარას შორის ორდღიანი „სეირნობის“ შემდეგ პრაქტიკულად, იძულებით დაგვაკავებინეს თურქეთში. ახლა მას ტერორისტული ორგანიზაციის წევრობაში ვადასაშუალებებთ და მიმდინარეობს სასამართლო პროცესები. მსგავსი, მსუბუქად რომ ვთქვათ, ლაფსუსები განწყობებზე არ მოქმედებს?

– მოქმედებს, გეთანხმებით. მეც ვფიქრობ, რომ ჩვენს სპეცსამსახურებს აკლიათ პროფესიონალიზმი, ძალიან ბევრი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის გავლენის ქვეშ არიან. ეს არცაა გასაკვირი, რადგან უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები უპირველესად, ისეთი სტრუქტურებით ინტერესდებიან, სადაც გადამწყვეტილებებს იღებენ. ამას ემატება თანამდებობებზე დანიშნვის დროს გაუგებარი კრიტერიუმები. ჯერ კიდევ გაუგებარია, როგორ არჩევენ, უშვებენ, ტოვებენ ან იღებენ ახლებს. არ ვიცი, რატომ ხდება, რომ მაინცდამაინც ერთ სტრუქტურაში უნდა იყოს ნამუშევარი – ბანკში ან კომპანიაში. როგორც ჩანს, სპეცსამსახურის თანამშრომლები ბანკში იბადებიან ან იზრდებიან. შს სამინისტროსა და უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი პირები, ოპერატიული და ტექნიკური თანამშრომლები, რომლებიც ძირითად ბირთვს წარმოადგენენ, ბანკის თანამშრომლები არიან. პრობლემები არის, მაგრამ მნიშვნელოვანია ნდობის მიღწევა, მით უფრო – შექმნილ ვითარებაში. მე რომ ვიყო ხელმძღვანელი პირი, ჩამოვივლიდი უნივერსიტეტებს, შევხვედდოდი სტუდენტებს და ავუსხნიდი, „ოდერი“ რისთვის და რატომ უნდა იყოს. საჭიროა კომუნიკაცია. საზოგადოებასთან მეტი კონტაქტი უნდა ჰქონდეთ, იგივე სამეცნიერო წრეებთან, არ უნდა ჩაიკეტონ და, რა თქმა უნდა, არ უნდა იყვნენ რომელიმე პარტიის ინტერესების ღიად თუ ფარულად გამტარებლები. ეს უმნიშვნელოვანესია.

ლიანა მუსხელიანი

რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, მას შემდეგ გრძელდება სამწახარო ტრადიცია ქართული სპეცსამსახურებისგან მტრის ხატის შექმნისა. ეს – მაშინ, როდესაც უმრავლეს ქვეყანაში ამჟამად საკუთარი სპეცსამსახურებით, ყოველ შემთხვევაში, არ ეზიზღებათ მაინც. იგივე გამოჩნდა უნივერსიტეტშიც. მტრად აცხადებენ იმ ხალხს, ვისაც სპეცსამსახურებში უმუშავია, ასე არ შეიძლება.

ფერია და უფრო ღიად უნდა იყოს საუბარი. თუ მოუსმენთ პოლონეთის ან სლოვაკეთის სპეცსამსახურების განცხადებებს, როცა საქროა, ის უფრო მკვეთრია, თუმცა, დაჭრობა აუცილებელია. ხაზს ვუსვამ, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის – შეერთებული შტატების, ევროკავშირის ქვეყნების (არაფერს ვამბობ იგივე თურქეთისა და აზერბაიჯანის სპეცსამსახურებზე) სპეცსამსახურები აქტიურობენ საქართველოში. პირველი, რაც მათ აინტერესებთ, ჩვენი ქვეყნის შიდა და საგარეო ორიენტაციებია და ეს ბუნებრივია. ამასთან, მათ სურთ, უკვე მესამე, მათთვის საინტერესო ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მიღება, – იქნება ეს საელჩოები თუ ორგანიზაციები. ვთქვათ, აზერბაიჯანის სომხეთით ინტერესდება, სომხეთი – საქართველოთი, აღარაფერს ვამბობ რუსეთზე, რომელიც ყველაფრით ინტერესდება. გვინდა თუ არა, თბილისი ჯაშუშთა ქალაქია, იმიტომ, რომ ჩვენ გზაჯვარედინზე ვართ და აქ ბევრი ქვეყნის გეოპოლიტიკური ინტერესი იყრის თავს.

– ბატონმა გომელაურმა განაცხადა, რომ საქართველოში სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურები არიან შემოსული და მუშაობენ. ეს ცოტა დამაბნეველია. საგარეოდ, უმაღლესი რანგის თანამდებობის პირი მსგავს განცხადებას ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით არ გააკეთებდა, ეს არასერიოზული იქნებოდა. ალბათ, საფუძველი ჰქონდა ამისა და საინტერესოა, ჩვენი ქვეყანა როგორ რეაგირებს? სპეცსამ-

საძლოა, ჩვენ გვაქვს ოპერატიული ინფორმაცია, რომ რომელიმე საელჩოს, საკონსულოს, ან (როგორც წესი, ასეა) კომერციული, ან საქველმოქმედო, ხანდახან რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენელი არის უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის თანამშრომელი, ან გარკვეულწილად მათთან მუშაობაშია ჩართული, მაგრამ ამის დადასტურება ურთულესია. პროცესი შესაძლოა, წლობით გრძელდებოდეს. მხოლოდ ინტერვიუთი ნუ შევფასებთ. ცოტა გაბრაზებულიც ჩანდა ბატონი გომელაური. ისე, მართლა საინტერესოა, უმრავლესობამ 76 დეპუტატი ვერ შეაგროვა?

– მაგრამ ფიგურა და მისი მხრიდან გაკეთებული მსგავსი განცხადება დამაბნეველია. გომელაური ამბობს, არა მხოლოდ რუსული, არამედ სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებიც შემოსული არიან და მუშაობენო. ჩვენ ამ ოთხი წლის განმავლობაში არ გაგვიგია, რომ ჯაშუშობის ბრალდებით ვინმე დაეკავებინათ. ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად ამის შესახებ არავის უთქვამს...

– გეთანხმებით, მაგრამ სამართლიანობისთვის ვიტყვი, რომ არ ვიცი, ქვეყნის ეროვნული ინტერესებისთვის რომელი სჯობს – ხელოვნურად გამოგონილი ჯაშუშები, თუ ის, რომ ჯაშუშებს არ აკავებენ. წინა ხელისუფლების საქმეებში, სადაც ჯაშუშები ფიგურირებდნენ, იმდენად უსუსური მტკიცებულებები იყო და ზოგჯერ არც ჰქონდათ მტკიცებულებები, რომ ეს ფაქტები ეროვნული ინტერესებიდან გამომდინა-

ოკუპირებულ აფხაზეთში ე. წ. უშიშრო მიმოსვლა ქალაქში შევიდა

ე.წ. შიშის გარეშე აფხაზეთის ტერიტორიაზე შესვლა იმ ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ, რომელსაც აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარებული აქვთ. ინფორმაციას ამის შესახებ საოკუპაციო რეჟიმი ავრცელებს.

აფხაზეთის დამოუკიდებლობას ამ დროისთვის მხოლოდ რუსეთი, ნიკარაგუა, ვენესუელა და ნაურუ აღიარებენ. აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარეს ტუვალუმ და ვანუატუმაც, თუმცა შემდეგ აღიარება უკან წაიღეს.

აფხაზეთის ტერიტორიაზე თავისუფლად შესვლისთვის, რუსეთის საზღვართან 24 საათიანი ე.წ. სავიზო ბუნქტი გაიხსნება.



კასი, როგორც კასის აქვს ყველა თვისება

ღირსეული მამულიშვილი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე



დიდი სახელი

სამაგალითოდ განვლილი გზა

ბატონო ნოდარ, წალენჯიხის საშუალო სკოლისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ თქვენ განვლეთ წარმატებით აღსავსე სამაგალითო შრომითი გზა რიგობითი თანამდებობიდან კომპაგნიური, პარტიული ორგანიზაციის ლიდერის, სოფლის მეურნეობის მინისტრის, ქვეყნისათვის ურთულეს მერიადში საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მეტად სამაგალითო თანამდებობამდე.

ყველგან, სადაც კი მუშაობდით, თქვენ, გარდა დიდი სახელმწიფო მზრუნველი მოღვაწის ხელნერისა, დატოვებულ წარმატებულ საერო, მამულიშვილური საქმიანობით აღსავსე ნათელი კვალი ჩვენს ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ქვეყნის მართვის საქმეებით ზედმიწევნით დატვირთულმა, საქართველოს მდგრადი განვითარების მიზნით, თქვენ შესძელით მის პრიორიტეტულ დარგში – სოფლის მეურნეობის ნამყვან მიმართულებებში ჩატარებული საწარმოო ექსპერიმენტების, მეცნიერული კვლევებით მიღებული ეკონომიკური შედეგებზე წარმატებით დაგეგვით საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებაში, სახელმწიფო სტრუქტურებში, კვლევით ინსტიტუტებში მოღვაწეობისას თქვენ აღზარდეთ მეცნიერთა, სამეურნეო, სახელმწიფო მოღვაწეთა ახალგაზრდა თაობის მთელი პლეადა, რომლებიც თქვენთან ერთად წარმატებით იღვნიან ჩვენი ქვეყნის მდგრადი განვითარების, ქართული ერის სამომავლო პერსპექტივისთვის.

რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადამწყვეტილებით დაბადებულ 80 წლის აღსანიშნავად თქვენ დაჯილდოვებული ხართ აკადემიის – „მეცნიერებისა და ხელოვნებათა რაინდის“ – საპატიო ნიშნით და ნოდარბით.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალოურგთა სამეცნიერო საკონსულტაციო ცენტრისა და რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს განყოფილების გამგეობის სახელმწიფო კვლევით თქვენი დაბადებული 80 წლის სახელოვან იუბილეს, გისურვებთ რკინისებურ ჯანმრთელ ცხოვრებას, ყოველმხრივ წარმატებებს საზოგადოებრივ საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.

საუკეთესო საიუბილეო სურვილებით, **გურამ ძაშააშვილი,** რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე, გენიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიების სამგზის ლაურეატი, პროფესორი.

რეკლამიზაცია: ის კაცია და კაცისა აქვს ყველა თვისება... – იშვიათად, მცირედ გადამზარებული ეს პოეტური სტრიქონი ესოდენ სრულად შეესაბამებოდა და ასურათსაჩვენებლად რომელსაღმე პიროვნებას, როგორც ბატონ ნოდარ ჩითანავას.

ბატონმა ნოდარმა ისე ღირსეულად განვლო თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის 80-წლიანი მონაკვეთი, რომ კაცობაში არასოდეს ჩაჭრილა, ჯანსაღი მორალური სახე არ დაუკარგავს, სამაგალითო ხელმძღვანელად და საყოველთაო პატივისცემის ღირს პიროვნებად დარჩენილა.

სულითა და გულით ვულოცავთ ბატონ ნოდარს – შესანიშნავ პიროვნებას, ქვეყნის პატრიოტს, სანიმუშო მოქალაქეს, უღალატო მეგობარს, დიდებული ოჯახის ღირსეულ თავკაცს, მისაბაძ მცენიერსა და საზოგადო მოღვაწეს – საიუბილეო თარიღს და ჯანმრთელობას, სიმხნვეს და ახალ წარმატებებს ვუსურვებთ მას! **ილდებრძელო, ბატონო ნოდარ!**

ძარბაველი ერის სახელოვან შვილს **ნოდარ ჩითანავას** 80 წელი შეუსრულდა. ამ ხნის მანძილზე ჩაოყვანილებულმა ბიოგრაფიამ შესანიშნავად წარმოაჩინა ნიჭიერებით გამორჩეული პიროვნების თავდადება და ღვაწლი, რომელიც მან გასწია მშობლიური მიწა-წყლისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ბატონი ნოდარი 1936 წელს დაიბადა ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუაში. მისი ბავშვობა და ყმაწვილკაცობა სავსე ყოფილა ტყვიანობით, მაგრამ წინაპრების სულიერმა სიმტკიცემ გამოაწყო იგი კაცობის ცხოვრებისეული სკოლის გასაგვლად, რომელიც საამაყო იყო მისი თაობის ახალგაზრდობისათვის.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტში ეზიარა იგი მშენებელი ინჟინრის სპეციალობას, შემდეგ კი სკკპ ცენტრალური კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პოლიტიკურ სკოლაში (შემდგომში საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიაში) მიიღო პოლიტიკური განათლება.

ახალგაზრდა ნოდარ ჩითანავას დაუღალავი შრომა ასპირანტურაში სწავლის პერიოდში წარმატებით დაგვირგვინდა. 1970 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1993 წელს კი – სადოქტორო. არის პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

მეტად რთული პოლიტიკური მოღვაწეობის გზა განვლო ნოდარ ჩითანავამ. მუშაობდა კომპაგნიურის ზუგდიდის რაიკომის პირველ მდივანად, პარტიის ცხაკაიას (სენაკის) რაიკომის პირველ მდივანად, აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანად, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრად, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანად, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, მეურნეობის, კვების მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის მინისტრად, სოფლის მეურნეობის მინისტრად. იყო ქალაქის, რაიონის (ორჯერ), ავტონომიური რესპუბლიკის, საქართველოს (ორჯერ), საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს (ორჯერ) დეპუტატი. ამავე საბჭოს უმდივოქმედი კომისიის თავმჯდომარე. 1993-2004 წლებში მუშაობდა სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად.

მეტად ნაყოფიერი გახლავთ ბატონი ნოდარის მეცნიერული მოღვაწეობა. იგი 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, 12 მონოგრაფიის ავტორია. მისი მეცნიერული კვლევის სფეროა გლობალიზაციისა და ეკონომიკის განვითარების, ეკონომიკისა და სახელმწიფოს, გარდამავალი პერიოდის, საქართველოს ეკონომიკის, საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების პრობლემები. ნოდარ ჩითანავას ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია 20 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. მისი ძირითადი ნაშრომებია: „საქართველოს აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის მართვის სრულყოფის პრობლემები“ (1964წ.), „საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები“ (1993წ.), „საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ორგანიზაციული პრობლემები“ (1993წ.), „შერეული, მრავალწყობიანი, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა (1995), „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“ (1997წ. I ნაწილი), „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“ (1999წ. II ნაწილი), „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“ (2001წ. III ნაწილი), „სოციალური ეკონომიკა: ფორმირება და განვითარება“ (2008 წ.), „საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები“ (2012).

მითითებული ნაშრომები იმის დამადასტურებელია, თუ რაოდენ მრავალმხრივ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწევა ბატონი ნოდარი. ფრიად მასშტაბურია მისი მონაწილეობა ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში, რაც საბჭოთა კავშირისა და საქართველოს უმაღლესი ორდენებითა და მედლებით აღინიშნა. პროფესორ ნოდარ ჩითანავას საერთაშორისო სამეცნიერო აღიარებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი 2007 წელს აირჩიეს რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. სულ ახლახანს

კი, დაბადებიდან მე-80 წლისთავთან დაკავშირებით, ნოდარ ჩითანავას ამავე აკადემიამ მიანიჭა მეცნიერებისა და კულტურის რაინდის ნოდარ და დააჯილდოვა ორდენით „РАЗУМ, ЧЕСТЬ И ДОБЛЕСТЬ УЧЕБНОГО“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში ბატონი ნოდარის მოღვაწეობა. სახელოვანი მამულიშვილის, მეცნიერისა და მოღვაწის ბიოგრაფია მოკრძალებით, მაგრამ სიღრმისეულად არის აღწერილი წიგნში „ვაშინერს, ბატონებო საქართველოს დაშლა!“ იგი სამშობლოს მთლიანობის აღდგენისა და მისი ხალხის ბედნიერი მომავლის ღრმა რწმენით ცოცხლობს, ამიტომაც ბატონი ნოდარის ყოველდღიური ღვაწლი ფასდაუდებელია არა მხოლოდ მისი დაუღალავი შრომისა და საქმიანობის შედეგით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მისი საქვეყნო მნიშვნელობით.

საოცარი პიროვნება გახლავთ ბატონი ნოდარი. იგი ვერ იტანს უსაქმურსა და ცილისმწამებლებს, გულით განიცდის გარშემო მყოფთა სატყვიარსა და გასაჭირს, ძალ-ღონეს არ ზოგავს მათ დასახმარებლად, უხარია ყოველი მათგანის წარმატება და წინსვლა. ნოდარ ჩითანავა ყოველთვის პრინციპული, მიზანდასახული, პირდაპირი, იდეისათვის მებრძოლი, მაგრამ ყოველთვის გულმართალი გახლავთ. უკეთილშობილესი ოჯახის თავკაცი ბრძანდება ბატონი ნოდარი, იმ ოჯახისა, სადაც თავყვანს სცემენ გარშემო მყოფთათვის სამაგალითო ქრისტიანული ცხოვრების წესებს.

ბატონო ნოდარ, თქვენ, როგორც ცნობილ ერისკაცს, შეუბღალავი სახელის, მაღალი ზნეობისა და მოქალაქეობრივი პრინციპების მქონე პიროვნებას, გულითადად გილოცავთ დაბადებიდან 80 წლისთავს და გისურვებთ, კვლავაც მხნედ გელვანოთ, ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ, ახალი წარმატებები გქონოდეთ მეცნიერულ და საზოგადოებრივ ასპარეზზე!

გამორჩენილი მეცნიერი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ნოდარ ჩითანავა დაბადებიდან 80 წლის და აქტიური სა-



მეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით დაჯილდოვდა აკადემიის უმაღლესი ჯილდოთი მემწიფრებისა და კულტურის რაინდის საპატიო ნიშნის და წოდების მინიჭებით. პრეზიდიუმის დავალებით 28 მარტს ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალოურგთა კორპუსში საპატიო ჯილდო მისალაოცი საბუნებისმეტყველო იუბილარს გადასცა რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს განყოფილების თავმჯდომარემ, ამ აკადემიის ნამდვილმა წევრმა, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გურამ ქაშაუაშვილმა.

საზეიმო შეკრებას ესწრებოდნენ და იუბილარს მიესალმნენ საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები: **ირაკლი შორდანიძე, ოთარ ნათიშვილი, გივი ცინცაძე,** რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის წევრები **შალვა ნაჭყვია, ანდრო შონია, ნუგზარ ნერეთელი, მიხეილ ჯიგუში, გიორგი სალუქვაძე, ანდრო კვარაცხელია, საზოგადოება რუსთაველის წევრი, ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის პრემიის ლაურეატი ანდრო მამუხაძე** და სხვები. დასასრულს შეკრებილ კოლეგებს, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს მადლობა გადაუხადა პროფესორმა ნოდარ ჩითანავამ თავისი მეცნიერული მოღვაწეობის ესოდენ ღირსეულად დაფასებისათვის და აღნიშნა, რომ ის სიცოცხლის ბოლომდე გააგრძელებს აქტიურ მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის აღიარებული პრიორიტეტული დარგების, ეკონომიკისა და ქართველი ხალხის ცხოვრების დონის გაუმჯობესების მიზნით.



ბარბისტიშვილის საიდუმლო არაა, რომ საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომლის მიმართაც სამშობლოში ძებნა გამოცხადებული ჩადენილი დანაშაულების გამო, თავის გუნდს აცალიბებს როგორც ოდესის ოლქში, ასევე ზოგადად უკრაინაში სამუშაოდ ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულ ქართველებს – რომ ზოგიერთმა უკრაინის მოქალაქეობა უკვე მიიღო, ზოგი კი ახლა სწავლობს უკრაინულ ენას – აშკარად ამის დადასტურებაა. რატომ აქვთ სწორედ მათ მთელი რიგი უპირატესობები სახელმწიფო თანამდებობებზე დანიშნვისას? რატომ იმალება ზოგიერთი ქართველი „სპეციალისტი“, რომლებმაც ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი მფარველობს, მმართველობის სფეროში გამოუცდელ, მაგრამ მაღალ თანამდებობაზე დანიშნული ახალგაზრდა უკრაინელის უკან? რა მიზნები აქვთ „ლტოლვილ“ ქართველებს? კრიზისით მოცულ უკრაინაში?

„აიკაპელი ეპელონი“

მოდით, თავდაპირველად ქართველი ხალხის ყველაზე ცნობილ წარმომადგენლებზე ვისაუბროთ, რომლებიც ჩვენი მამულის ხელისუფლების საქსთან (და იმავდროულად საკვებ ბაზასთან) დგას.

გიორგი ლორთქიფანიძე – უკრაინის შსს ოდესის საოლქო სამმართველოს უფროსი. მიხეილ სააკაშვილის ძველი მეგობარი. მისი პრეზიდენტობის დროს იყო საქართველოს შს მინისტრის მოადგილე. მრავალი თვითმხილველი ამბობს, რომ გიორგი ლორთქიფანიძე ცოფიანი რუსოფობი პიროვნებაა, ანამებდა განსასჯელებს და მათ აიძულებდა, ელიარებინათ, რომ რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ან მთავარი სადაზვერვო სამმართველოს აგენტები არიან. საპრობილემო გადაღებულ წამებისა და გაუპატიურების ვიდეოკადრებზე მკაფიოდ მოჩანს საქართველოს შს მინისტრის მოადგილის სახე. სწორედ ასეთი ვიდეოკადრების გამოქვეყნებამ დააჩქარა მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის დაცემა. სამშობლოში ოდესის ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის წინააღმდეგ სისხლის სამართლის რამდენიმე საქმეა აღძრული.

დავით სახმარაიძე – უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილე, იმავე დროს ოდესის ოლქის პროკურორი (გუშინის ის თანამდებობიდან მოხსნეს! რედ). აღსანიშნავია, რომ 25 წლის ასაკში იგი უკვე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წარმომადგენელი იყო საქართველოს უზენაეს სასამართლოში. გარდა ამისა, დავით საყვარელიძის სასამართლო კარიერაში მას ვხვდებით გენპროკურორის პირველ მოადგილედ, ქალაქ თბილისის პროკურორად... უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა ქართველი ჩინოვნიკი ყოველთვის ჭკვიანურად ირჩევდა მეგობრებს: მისი ერთ-ერთი ძმაცაი იყო თბილისის ექს-მერი, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გიგი უგულავა, რომელიც ამჟამად ციხეში ზის და სასჯელს დედაქალაქის ბიუჯეტის უყაირათოდ ხარჯვისთვის იხდის. მისი კიდევ ერთი მეგობარია იუსტიციის ექს-მინისტრი ზურაბ ადვიშვილი, ოდიოზური პიროვნება, რომელიც „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდის ქართულ პოლიტიკაში „რუსი კორდინალი“ როლს ასრულებდა. იგი საქართველოში ძებნილად და გამოცხადებული და რასაკვირველია, უკრაინის ხელისუფლებაში უცხოელ მრჩეველად მუშაობს (ამაზე ქვემოთ). სხვათა შორის, დავით საყვარელიძე ერთ-ერთი ფიგურანტია იმ საქმისა, რომელიც თბილისის რიყის პარკის ტერიტორიაზე კომერციული ფართობების უკანონო ყიდვა-გაყიდვას ეხება 2006 წელს. გარდა ამისა, ადვოკატი გიორგი ყაველაშვილი დავით საყვარელიძეს ბრალს სდებს დიდი თანხების გამოძალავაში კონკრეტული პირებისგან და ძვირფასეულობების მითვისებაში.

ზურაბ ადვიშვილი – საქართველოს იუსტიციის ექს-მინისტრი და მიხეილ სააკაშვილის უახლოესი თანამებრძოლი, რომელიც ძებნაშია ჩადენილი დანაშაულების გამო. იმ საქმეების წყალობით, რომელიც ზურაბ ადვიშვილი და დავით საყვარელიძემ შეადგინეს, მიხეილ სააკაშვილის სანქციით, კორუფცია საქართველოში ახალ დონეზე აიყვანა. მათ მცირე და საშუალო ბიზნესს ხარკი შეაწესეს. ბიზნესმენები იძულებულნი იყვნენ, „ნებაყოფლობით“ გადაეხადათ მსხვილი თანხები, რითაც პოლიციელებს და „სამართალდამცველ“ ჩინოვნიკებს ხელფასებს უზრდინდნენ და პრემიებს აძლევდნენ. სწორედ იუსტიციის ექს-მინისტრი ზურაბ ადვიშვილი, შინაგან საქმეთა ექს-მინისტრი ვანო მერაბიშვილთან ერთად (ეს უკანასკნელი მსჯავრდებულია) ცხოვრებაში გაატარა მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური დოგმა „ნულოვანი ტოლერანტობა – ყველა საპრობილემო“ და ციხეში ჩასვა ასი ათასზე მეტი ადამიანი. ამერიკად, საქართველომ ყოველ ასი ათას მოსახლეზე პატიმრების რაოდენობით მსოფლიოში მეოთხე და ევროპაში საპატიო პირველი ადგილი დაიკავა. დღევანდელი ზურაბ ადვიშვილი საქართველოში დაუსწრებლად და პატიმრებული მსჯავრდებულთა წამებასა და ცემაში მონაწილეობისათვის.

ეპა ზღულაძე – უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, წარსულში კი – პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის აქტიური მხარდამჭერი. ეს ერთი შეხედვით სუსტი ქალი მრავალი წლის განმავლობაში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის მოადგილედ მუშაობდა. შეიძლება ვინმემ იმის მტკიცება დაიწყოს, რომ ეპა ზღულაძემ თავისი ბოსის დაუნდობელი ქმედების შესახებ არაფერი იცოდაო, მაგრამ ფაქტები პირიქით მეტყველებენ. მისი ერთ-ერთი ბოლო საექვო ქმედება მსოფლიოში გაიგო – ეპა ზღულაძე შეეცადა, უკრაინიდან 4 მილიონი დოლარი გაეტანა.

სატიან დიპანოძე – საქართველოს განათლების ექს-მინისტრი მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, მუშაობდა საქართველოს პოლიციის აკადემიის რექტორად. იგივე თანამდებობაზეა უკრაინაშიც – იგი კივეში პოლიციის ეროვნულ აკადემიას ხელმძღვანელობს და „განზრახული“ აქვს უკრაინის საპოლიციო განათლების სფეროში საბჭოური გადმონათეები აღმოფხვრას. სატია დეკანოიძე ეპა ზღულაძის უახლოესი დაქალია. სამშობლოში მას ბრალი აქვს წაყენებული სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში.

გიზო უგულავა – უკრაინის ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე, მანამდე კი, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილედ მუშაობდა. გიზო უგულავა „პოპულარული გახდა“ კორუფციასა და სხვა მრავალ დანაშაულში ბრალდებული თბილისის ექს-მერის ადვოკატობით. ცალკე უნდა აღინიშნოს ის, რომ უკრაინის პრესა გიზო უგულავას საქართველოს პროკურორის სისტემის რეფორმატორად და კორუფციასთან მებრძოლად წარმოსახავს, მაგრამ მკითხველი შეიძლება დაინტერესდეს – თუ გიზო უგულავა კორუფციას მედგრად ებრძოდა, მაშინ რატომ იცავდა კორუფციაში ბრალდებულ გიგი უგულავას? უგულავა საქართველოში იქნებნება... არ გაგიკვირდეთ – სწორედ კორუფციისა და კრიმინალური დანაშაულისა გამო.

ალექსანდრე კვიციანი – საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, დღეს კი იგივე თანამდებობაზე ზის უკრაინის მთავრობაშიც – ჯანდაცვის მინისტრია. აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე კვიციანი პოლიტიკური (სამედიცინო) განათლება არა აქვს, სამაგიეროდ მან ორი უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა ისტორიკოსისა და სახელმწიფო მართვის სპეციალობით. საქართველოში ჯანდაცვის ექს-მინისტრი უკვე თითქმის აღარ ასოვთ და თუ იხსენებენ, ასეთ კომენტარს აკეთებენ: „როგორ შეიძლება კვიციანის უკრაინის ჯანდაცვის მინისტრად დანიშნვა, მან ხომ საქართველოს ჯანდაცვის სისტემა მთლიანად დაანგრია?“.

გიორგი ბრიგაზაშვილი – უკრაინის ეროვნული პოლიციის შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი, მანამდე კი, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში, იგი საქართველოს საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელი გახლდათ. სწორედ ესაა გიორგი ბრიგაზაშვილის ბიოგრაფიის საკვანძო მომენტი: სწორედ გრიგალაშვილის უწყებამ



**„ნულოვანი ტოლერანტობა!“
- რა საშინელებაა ეს ყველაფერი...**



უკრაინული პრესა და სააკაშვილის კლანი



უკრაინული პორტალი „Информационный центр“ აქვეყნებს გაზეთი „პოლიტიჩესკიე იზვესტიას“ მიმომხილველის იულია გავრილჩუკის სტატიას საქართველოდან უკრაინაში გადაბარებული და გაჩინოვნიკებული პირების შესახებ.
მასალის ქართულ ვერსიას საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გვთავაზობს.

დაარბია ოპოზიციის მიტინგი 2011 წლის 26 მაისს თბილისში, რომლის დროსაც აქციის მონაწილეები დაიღუპნენ (ზოგიერთი ცნობით, ისინი პოლიციელებმა დახოცეს). მოგვიანებით, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, გიორგი გრიგალაშვილი დაკითხეს, ხოლო მის უფროსს – შს მინისტრს ვანო მერაბიშვილს, სხვა ბრალდებებთან ერთად, მიტინგის დარბევის ფაქტის გამოძიების დროს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება წაუყენეს. ქართულ პრესაში შეიძლება მოვებნოთ ძალიან ბევრი მავალი იმისა, თუ როგორ აჭარბებდა საპატრულო პოლიციის უფროსი თავის უფლებამოსილებას, მაგალითად, თავ-

დაცვის ექს-მინისტრის გიორგი ყარყარაშვილის მძღოლის მიმართ და ა.შ. ყველა ამ პიროვნების მიმართ, რომლებიც უკრაინის მოქალაქეები გახლდნენ და ჩვენს მთავრობაში თანამდებობები მიიღეს, ვითომდა რეფორმების გასატარებლად, დამოკიდებულება შეიძლება ორი სიტყვით გამოიხატოს: „ნულოვანი ტოლერანტობა“.

„ეპოქა ეპელონი“
ახლს გადავიდეთ ჩვენი გამოკვლევის მეორე თავზე, რომელშიც ქართველი ხალხის კიდევ რამდენიმე „საუყუთესო წარმომადგენლების“ საქმიანობას გააცნობთ

ჩვენს ქვეყანაში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ ჩამოყვანილი პირების სია საკმაოდ ვრცელია და მასში ძალიან ბევრი ისეთ ადამიანს დაინახავთ, რომლებიც უცნობია როგორც უბრალო უკრაინელებისთვის, ასევე თვით ქართველებისთვისაც. ამიტომაც ვისაუბროთ „რეფორმატორთა გუნდზე“, რომლის წევრები ოდესის გუბერნატორმა მოინკია.

გიორგი ცხაკაია – ოდესის ოლქის გუბერნატორის მრჩეველი, მუშაობდა საქართველოს შემოსავლების უწყების ხელმძღვანელად. დავაზუსტებთ: სწორედ გიორგი ცხაკაია დგას ოდესის საბაჟოს უფროსის, არაპროფესიონალ იულია მარუშევსკაიას ზურგს უკან. გიორგი ცხაკაია ფორმალურად საბაჟოს უფროსის მოადგილეა, მაგრამ რეალურად ყველა გადაწყვეტილება ის იღებს;

ლევან დუჩიძე – მუშაობს ბიზნეს-ანალიტიკოსად და საგარეო კავშირების კოორდინატორად ორგანიზაცია „ინიციატივები უკრაინისთვის“. საქართველოში კი უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე იყო;

სიმონ ძაბთარაძე – ტრენინგებისა და ელექტრონული შესყიდვების კოორდინატორი ოდესის ოლქში. მუშაობდა თბილისის განვითარების ფონდის ხელმძღვანელად. იქნებდა ქართველი სამართალდაცველების მიერ საბიუჯეტო თანხების განიავების გამო;

მიხეილ კობახიძე – ოდესის გუბერნატორის თანაშემწე მასმედიასთან ურთიერთობის საკითხებში;

დავით ჩანტლაძე – იგი საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრად მუშაობდა, დღეს კი ოდესის ოლქის გუბერნატორის ადმინისტრაციაში მუშაობს (ზუსტი თანამდებობა ვერ გავარკვიეთ);

თამარ ნიშნაძე – ოდესის ოლქის გუბერნატორის მრჩეველი, მანამდე კი ოდესში საქართველოს გენერალურ კონსულად მუშაობდა. საინტერესოა, რომ 2010 წელს, როცა დონეცკში მუშაობდა საქართველოს გენკონსულად, იგი შემჩნეულია უკანონო ქმედებებში: ხელს უწყობდა დონბასში ქართველების ჩაყვანას არჩევნების ჩაშლის მიზნით;

ალექს სოკოლაშვილი – მიხეილ სააკაშვილის გუნდის წევრი, 24 წლის. ზუსტად არავინ იცის, რითაა იგი დაკავებული – ვოლონტერია თუ გუბერნატორის თანაშემწე. ზოგჯერ ალექს სოკოლაშვილი საკუთარ თავს ერთ-ერთი ტელეკომპანიის ჟურნალისტად ასაღებს, ზოგჯერ კი – საოლქო ადმინისტრაციის თანამშრომლად. როცა ოდესის მერს ირჩევდნენ, იგი აქტიურად მხარს უჭერდა და პიარს უკეთებდა მიხეილ სააკაშვილის ფავორიტს ალექსანდრ ბოროდინს, თუმცა, წარუმატებლად;

გიორგი მუხომეძე – იგი ადრე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეგისტრაციის სააგენტოს ხელმძღვანელობდა, ახლა კი ოდესის გუბერნატორის თანაშემწის თანამდებობას იკავებს, პარალელურად კი თავისი უფროსის მიერ ინიცირებულ „ანტიკორუფციულ ფორუმებში“ მონაწილეობს. სწორედ მას ეკუთვნის ფრაზა – „ომი საუკეთესო დროა რეფორმების განსახორციელებლად“.

საერთოდ კი, ომზე საუბრისას, უნდა გავიხსენოთ, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი ირაკლი ქურასხვიანი დღეს უკრაინის თავდაცვის სამინისტროს ბატალიონ „დონბასის“ ინსტრუქტორია, იქვეა საქართველოს ეროვნული გვარდიის ყოფილი პოლკოვნიკი დავით მარტიაშვილიც, რომელიც ადრე თელავის ბატალიონის უფროსი იყო.

საიმიო მიუსაპარტი ქართულ „რეფორმატორებს“

ზამთი ჩამოთვლილი პერსონების გარდა, ოდესაში და ზოგადად, მთელ უკრაინაში კიდევ ბევრი ქართველი შეიძლება მოიძებნოს, რომელიც მიხეილ სააკაშვილის რეკომენდაციებით სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობენ. ზოგი რჩევებს და რეკომენდაციებს შორიდან იძლევა, მაგალითად, საქართველოს პარლამენტის მოქმედი წევრი მიხეილ მაჭავარიანი და ქვემო ქართლის ექს-გუბერნატორი დავით კირკიტაძე, ზოგი კი ახლოდან, რომლებიც უკრაინაში მტკიცედ არიან მოკალათებულნი – მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი გიორგი არველიძე, რომელიც კიევში პირველი კერძო ამერიკული უნივერსიტეტის გახსნის პროექტი-თაა დაკავებული, ან ქართველი „რეფორმატორი“ დავით კიზირია, რომელსაც უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მრჩევლის რანგში ვხვდებით.

მთელ ამ „ქართული ელიტას“, რომელიც მიხეილ სააკაშვილზე მუშაობს, ერთადერთი მიზანი აქვს: არა რეფორმების გატარება, როგორც ამას რიგითი უკრაინელი ფიქრობს, არამედ დიდ ბიზნესში და პოლიტიკაში ბანალური დაბრუნება. ვაქტივია, რომ თავიანთ სამშობლოში ეს ხალხი არავის ჭირდება, მაგრამ ისმება კითხვა – რატომ?

პასუხი ძალიან უბრალოა: ყველა მათი რეფორმა ჩაფიქრებული და რეალიზებული იყო მხოლოდ იმისთვის, რომ კორუფცია უფრო ახალ და მაღალ დონეზე აეყვანათ. კი, „შოკური ღონისძიებების“ შედეგად დაბალი დონის პოლიციელებმა და ჩინოვნიკებმა, რაიონული ქალაქების მერებმა ქრთამის აღება შეწყვიტეს, მაგრამ უმაღლესი დონის ჩინოვნიკებს შემოსავლები საოცრად მოემატათ.

სასაცილო უნდა იყოს, რომ პოლიტიკოსი, რომელიც თავის ისტორიულ სამშობლოში კორუფციაშია დადანაშაულებული, მეორე სამშობლოში ანტიკორუფციულ ფორუმებს მართავს, თანაც თავისი ახალი სამშობლოს ხელისუფლებას, რომელმაც გაქცეული შეიფარა და სამსახური მისცა, ახლა კორუფციაში ადანაშაულებს. დიას, სასაცილო უნდა იყოს, მაგრამ საშინელებაა ეს ყველაფერი...

მაშ, რატომ ჰყავს ამდენი თანამემამულე ირგვლივ ოდესის გუბერნატორს? რა მიზანი აქვს დასახული მიხეილ სააკაშვილს, როცა თანამდებობებზე საეჭვო და ძებნილ ადამიანებს ნიშნავს? ხომ ყველამ იცის, რომ მიხეილ სააკაშვილის რეფორმების გამოცდილება მხოლოდ ორ სიტყვაში გამოისახება – „ნულოვანი ტოლერანტობა“? რა აზრია ჩადებული მის ნათქვამში – „გადავაქციეთ ოდესა 2011 წლის თბილისად“?, ანუ კორუფცია მაღალ ემულონებში და ასობით ათასი ადამიანი ციხეში?

ნათელი ხდება, რომ საქართველოს ექს-პრეზიდენტი არა მხოლოდ იმას ცდილობს, რომ რეგიონი სრულად ჩაიგდოს ხელში თავისი ერთგული ვასალების მეშვეობით, არამედ თავისთვის პლაცდარმს ამზადებს „უკრაინის მაღალ ელიტაში“ გადასახტომად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გავა რამდენიმე წელი და უკრაინელებს, ქართველებს მსგავსად, სამზარეულოში ჩურჩხულსაც კი შეშინდებდათ და შიშნარევე მზერას მიაპყრობენ კარებს – ვინმეს ნაბიჯის ხმა ხომ არ ისმის, არავინ გვისმენდესო...

მოამზადა თამარ ჩოლოყაშვილმა

ზურაბ ლომია

ლოცვის სიკეთე

ლოკუმენტური მოთხრობა

– დედიკო, დედიკო, მოდი რა ჩემთან, – გასძახა ქეთინომ ნონას, სამზარეულოში რომ ტრიალებდა. – მოდი, რა განახო... ნონა მაშინვე გამოვიდა ქეთინოსთან. ის იდგა სარკესთან და თავის სახეს მისჩერებოდა.

– რა იყო, ჩემო გოგონა, ხომ არავინ გაწყენინა? – ყასიდად შეეკითხა დედა. განა პირველად უძახდა შვილი დედას უმიზეზოდ.

– დედიკო, დედიკო. შეხედე, ეს ხომ მე ვარ?

– შენა ხარ გენაცვალე, აბა ვინ უნდა იყოს. ჩემი კარგი, საყვარელი, ლამაზი გოგო...

ქეთინო უცებ შემობრუნდა დედისკენ და ტირილით წარმოთქვა:

– რატომ მატყუებ, დედა? ვინ არის ლამაზი, ის გოგო, სარკიდან რომ მიყურებ?

– შო, ისაა, გენაცვალე. კარგად დაუკვირდი, როგორი მომხიბვლელია...

ვინ დააცალა ნონას სიტყვის დამთავრება.

– დედიკო, რატომ ვარ ასეთი ულამაზო? შეხედე, როგორი გაყინული თვალები მაქვს, როგორი საზიზღარი სახე, ჩვეულებრივად ვერც გამოიღიმა...

– კარგი, კარგი, გენაცვალე. შენ ხარ ლამაზი, შენი სახის ყველა ნაწილი ასეთი მიმზიდველია...

ანც ახლა დააცალეს ნონას სიტყვის დამთავრება, ქეთინომ ხმამაღლა ტირილი დაიწყო.

... ეს იყო ხუთი წლის წინათ. მაშინ ქეთინო ხუთი წლისა იყო. დედამ პირველად აღმოაჩინა, რომ, თურმე, ქეთინომ დაინახა თავისი სახე, მიხვდა, რომ არაა სხვა თანატოლებივით ლამაზი.

დაუნის სინდრომი, მას ამის შესახებ, რასაკვირველია, არაფერი გაეგებოდა, თანდათან აღწევდა მის შეგნებაში, ხვდებოდა, რომ ვერ იყო სხვებზე უფრო მოქნილი, მიმზიდველი და სხვათა მოწონების საგანი.

განა ეს მომზღვემა არ იყოდენ და ვერ ხედავდენ?! მაგრამ გამოსავალს ვერსად და ვერაფერში ხედავდენ. იყვნენ ღვთის იმედზე, რომ ყველაფერი შეიწყვლევებოდა, ორგანიზმი დაძლევედა ბუნების უსამართლო განაწყეს...

მაგრამ განგება სხვაგვარად სჯიდა... დედამ ეკლესიაში წაიყვანა. რაღაც დღესასწაულო იყო.

იდგა ქეთინო დედის გვერდით და მღერმანედ მისჩერებოდა ხატებს. მათში დიდ სხვაობასა და ვერანაირ ძალას ვერ ხედავდა და ვერ განიცდიდა, მაგრამ მოხდა ერთგვარი შერყევა.

ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი შემოვიდა, დადგა კათედრასთან და დაიწყო ლოცვა. მხოლოდ მისი ხმა ისმოდა, ზუმის ხმასაც რომ გაიგონებდა.

– დედიკო, რატომ გაჩუმდა ყველა? – მთელ დარბაზში გაისმა მხოლოდ პატარა გოგონას ხმა.

კათოლიკოსისთვისაც ეს ხმა მოულოდნელი იყო. მან შეწყვიტა ლოცვა, ჩამოვიდა დარბაზში, მივიდა გოგონასთან, თავზე ხელი გადაუსვა, დაიჩოქა, აკოცა გოგონას და წყნარად-წყნარად ყურში უთხრა:

– იმითომ, რომ უფალი გლოცავს. ნონას ქეთინო ღვთიური სამსახურის დამთავრებამდე არ გამოუყვანია ეკლესიიდან. როდესაც კათოლიკოსმა კურთხევა დაამთავრა, მივიდა მასთან, ხელზე ემთხვია და უთხრა:

– გმადლობთ, ყოვლად წმიდაო. როგორი მადლობელი ვარ თქვენი დალოცვისა. ღმერთმა დაგლოცოთ, თქვენი ზრუნვა და ამბავი არ მოჰკლებოდეს ჩვენს ერსა და სამშობლოს.

– მიგხვდით თქვენი შვილის მდგომარეობას, უფალმა მოგხედოთ თქვენც და თქვენ შვილსაც.

– მამაო, თუ შეიძლება, როცა საშუალება გექნება, რომ მიგვიღოთ ჩემი შვილი და მე.

– ხეალ პირველ საათზე გელოდებით საპატრიარქოში...

ნონა დღესაც ვერ მოსულა გონს, როგორ დათანხმდა პატრიარქი მის, ერთი შეხედვით, გულუბრყვილო სურვილს. ახლაც არ იცის, რატომ სთხოვა ეს. უმრალოდ გაუჩნდა აზრი, რომ ასე უნდოდა მადლობის გამოხატვა მისი შვილის დალოცვისთვის.

მეორე დღეს საპატრიარქოში ელოდებოდა.



მოდენ იმ პატარა გოგონას დედასთან ერთად.

კათოლიკოსმა პირველი გადაიწერა, ქეთინო ხელში აიყვანა, ღვთისმშობლის ხატთან მიიყვანა, პირველი გააჩენა და გულზე ოქროს ჯვარი ჩამოკოცა.

– მინდა, რომ კარგი გოგო გაიზარდო, დაძლიო შენი უბედურებანი და ჯანსაღი ჩადგე ღვთის სამსახურში.

კათოლიკოსმა გოგონას ნაყინი გადასცა და ოდნავ გასაგონი ხმით უთხრა:

– საყვარელო ქეთინო, შენ კარგი გოგონა ხარ, კარგი უფლის სახელით, გაიზარდე კარგი ადამიანი და ცხოვრებაში წარმატებული.

დამშვიდობებისას კათოლიკოსმა ქეთინო კვლავ უფლის ხატთან მიიყვანა და უთხრა: – ერთი რამ მინდა, გთხოვო, ჩემო გოგონა: ილოცე ყოველდღე უფლის წინაშე სამჯერ – დილით, შუადღისას და საღამოს და კიდევ – ყოველდღე ივარჯიშე სამჯერ, მეგრი იმოძრავე.

ქეთინო, უფლის ნებით, მართლაც ყოველდღე ლოცულობდა ხატის წინ, ვარჯიშობდა და...

დღეს, ხუთი წლის შემდეგ, კათოლიკოს-პატრიარქის ღვთიური სამსახურის დამთავრებისთანავე, დაუკითხავად, მექანიკურად მივიდა მასთან, დაუჩოქა, აილო მისი ჩოხის ბოლო, აკოცა და თქვა:

– გმადლობთ, მამაო, თქვენ მე სიცოცხლე მაჩუქეთ, რწმენაც და სილამაზეც. კათოლიკოს-პატრიარქმა ვერ იცნო ქეთინო – მეტად ლამაზი, მომხიბლავი გოგონა, სახის ყოველი ნაკვთი რომ ღვთისმშობლის ხატის მრწყინავლებას მოგავგონებდა.

– ვინა ხარ, გოგონა?

– ეს თქვენი ნაკურთხი და დალოცვილი ჩემი შვილია. თქვენ ის მე ხელმეორედ მაჩუქეთ, – უპასუხა ნონამ შვილის მაგიერად. – ის სკოლაში წარმატებულია. ლამაზად ხატავს, ლექსებსაც წერს.

კათოლიკოს-პატრიარქმა გასცა განკარგულება, ერთი კვირის შემდეგ მოეწვიათ მასთან საქართველოს დაუნის სინდრომიანი ყველა პატარა.

და კვლავ მოხდა სასწაული: დაახლოებით ორი წლის შემდეგ საქართველოში თითქმის აღარავინ იყო დაუნის სინდრომით დაავადებული...

მაშ, რატომ ჰყავს ამდენი თანამემამულე ირგვლივ ოდესის გუბერნატორს? რა მიზანი აქვს დასახული მიხეილ სააკაშვილს, როცა თანამდებობებზე საეჭვო და ძებნილ ადამიანებს ნიშნავს? ხომ ყველამ იცის, რომ მიხეილ სააკაშვილის რეფორმების გამოცდილება მხოლოდ ორ სიტყვაში გამოისახება – „ნულოვანი ტოლერანტობა“? რა აზრია ჩადებული მის ნათქვამში – „გადავაქციეთ ოდესა 2011 წლის თბილისად“?, ანუ კორუფცია მაღალ ემულონებში და ასობით ათასი ადამიანი ციხეში?

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

რუსეთში კვლავ გამოვიდა გაფრთხილებით იმ შედეგებთან დაკავშირებით რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს და უკრაინის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან შეერთებამ.

ამის შესახებ ნატოსთან რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ალექსანდრ გრუშკომ განაცხადა რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ინტერვიუს დროს.

ამავე დროს, როგორც ნატოსთან რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა აღნიშნა, „არავის გაუქმების ნატოს ბუქარესტის 2008 წლის სამიტის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საქართველო და უკრაინა გახდებიან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრები“.

„მაგრამ ეს ფორმულირება – არის ნაღმი ვეროპული უშიშროების კონსტრუქციის ქვეშ“, – განმარტა გრუშკომ. ნატოსთან რუსეთის ფედერაციის მუდმივი წარმომადგენლის სიტყვებით, რუსეთს არა აქვს განზრახული პასიურად ადევნოს თვალყური ევროპაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ყოფნის გაძლიერებაზე, და რომ მოსკოვი „თანმიმდევრულად განახორციელებს“ შესაბამის სამხედრო ზომებს „იმისთვის, რომ მოახდინოს ამ გაძლიერებული, არაფრით გამართლებული კომპენსირებისათვის“.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 23 დეკემბერს უმაღლესმა რადამ გააუქმა 2010 წლის კანონი უკრაინის ბლოკარეზე სტატუსის შესახებ. ამრიგად, უკრაინის კანონის „უკრაინის ეროვნული უშიშროების საფუძვლების შესახებ“ თანახმად, ევროკავშირში და ჩრდილოატლანტიკურ სივრცეში წევრობა არის ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები. ამავე დროს, საქართველოს ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში არის დეკლარირებული მიზანი როგორც ამჟამინდელი, ისე წინა ხელისუფლებისა.

„ისტორიული არჩევანი“

ამ დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაო ვიზიტით მყოფი საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი საუბრობდა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის აუცილებლობის შესახებ.

როგორც ქართველმა პრეზიდენტმა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ხელისუფლების წარმომადგენლებთან საუბარში აღნიშნა, საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა რე-



გრუშკო:

უკრაინისა და სსსრკ-ს ნატოსთან შეერთება ევროპას კრიზისის ზღვარზე დაახლოებს

პრაზიციანი მარბეალაშილი ევროპულანტიკურ კურსს საქართველოს ისტორიულ არჩევანს უწყობს

გიონში, რომლის გამოცხადებული მიზანია არის ნატოსა და ევროკავშირში შესვლა. „ევროპული და ევროატლანტიკური კურსი – ჩვენი ისტორიული არჩევანია. ჩვენი ქვეყნის მრავალი თაობა ისწრაფობდა, ეცნო ეს ოცნება რეალობად. ჩვენ საერთო ევროპული სივრცის ბუნებრივი ნაწილი ვართ“, – განაცხადა მარგველაშვილმა და გამოთქვა იმედის ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერის ივლისში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ვარშავის სამიტზე.

მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიაში ჯეიმს აპატურაიმ თებერვალში განაცხადა: ალიანსის წევრ ქვეყნებს შორის კონსენსუსის უქონლობის გამო, საქართველომ ძნელად რომ იქონიოს იმის იმედი, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მისცემს მას ვარშავაში წევრობის მოქმედების გეგმას. საქართველოს იმედი აქვს, მიიღოს მონაწილეობა მაშინ – ახალი წევრების მიღების ოფიციალურ პროგრამაში. ამ პროგრამაში მონაწილეობა მიზნად ისახავს, დაეხმაროს ქვეყანას, მოემზადოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლისათვის, თუმცა ამის გარანტიას არ იძლევა. მას შემდეგ, ალიანსის ყოველი სამი-

ტის შემდეგ, ნატოს ლიდერები არწმუნებენ საქართველოს, რომ მომავალში ქვეყანა აუცილებლად გახდება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი.

ჩაალიები და პროკაბანდა

უშიშროებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხების შესწავლის ცენტრის ხელმძღვანელი ნიკა ჩიტაძე მიიჩნევს, რომ ნატოსთან რუსეთის ფედერაციის მუდმივი წარმომადგენლის განცხადება საქართველოს და უკრაინის ატლანტიკურ პერსპექტივებთან დაკავშირებით ნაწილობრივ ასახავს რეალობას, მაგრამ ამავე დროს მას აქვს პროპაგანდისტული მიზნებიც. კერძოდ, ექსპერტის სიტყვებით, ალექსანდრ გრუშკოს გზავნილი საერთაშორისო აუდიტორიისათვის შედეგობა იმის გამოვლინებით, რომ რუსეთს აქვს პრეტენზიები იმაზე, რომ პოსტსაბჭოთა სივრცე მისი გავლენის სფეროა. ამავე დროს, როგორც ჩიტაძე მიიჩნევს რუსეთის ფედერაციის მუდმივ წარმომადგენელს ასევე სურდა, „დაემშვიდებინა“ რუსული აუდიტორია იმასთან დაკავშირებით, რომ ნატო, თითქოსდა, არ აპირებს გაფართოებას აღმოსავ-

ლეთში, და რომ ნებისმიერ შემთხვევაში რუსეთს შეუძლია არ დაუშვას ეს.

ნიკა ჩიტაძის სიტყვებით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სხვაობა საქართველოსა და უკრაინას შორის არის ის, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა მხარს უჭერს საქართველოს წევრობას ალიანსში. მაგალითად, სხვადასხვა წლებში, სხვადასხვა გამოკითხვათა მონაცემების თანახმად, ნატოსთან შეერთების მომხრეთა რიცხვი საქართველოში მერყეობს 60-დან 80 პროცენტამდე, იმ დროს, როდესაც უკრაინის შემთხვევაში, ამბობს პოლიტოლოგი, სიტუაცია არც ისე ერთმნიშვნელოვანია.

შეგახსენებთ, რომ 2006 წელს საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მისცა სმა საქართველოს ინტეგრაციას ნატოში. ასევე რეფერენდუმის შედეგებით, რომელიც 2008 წლის იანვარში გაიმართა, საქართველოს შეერთებას ნატოსთან ქართველ ამომრჩეველთა 77-მა პროცენტმა დაუჭირა მხარი.

როდესაც რუსეთის ფაქტორზე საუბრობდა საქართველოს ნატოში მიღებასთან დაკავშირებით, ჩიტაძემ მიუთითა იმაზე, რომ რუსეთის დაპირისპირებას აქვს რეალური გავლენა ალიანსის ზოგიერთი სახელმწიფოს პოზიციაზე, რაც დასტურდება საქართველოსთვის მასის მინიჭების გააღებაზე წლების განმავლობაში. მიუხედავად ამისა, ამბობს პოლიტოლოგი, ინტენსიური თანამშრომლობა ნატოსთან, თავისთავად, ასრულებს „უზარმაზარ პოზიტიურ როლს“ საქართველოს განვითარებისათვის.

„თუ ნატოში წევრობა ამ ეტაპზე იქნება პრობლემატური, ამავე დროს საქართველოს თანამშრომლობა ნატოსთან ვითარდება მეტად ინტენსიურად სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის სამხედრო და პოლიტიკურ თანამშრომლობაში“, – აღნიშნა ექსპერტმა ჩვენთან ინტერვიუში.

კერძოდ, ამ თანამშრომლობის მიღწევებია, ჩიტაძის სიტყვებით, „ნატო საქართველოს კომისიის“ მუშაობა, წლიური ეროვნული პროგრამის დამტკიცება, საქართველოში ნატოს სასწავლო ცენტრის გახსნა, საქართველოს შეერთება ალიანსის სწრაფი რეაგირების ძალეებთან, ერთობლივი სწავლება, რაც, ექსპერტის თანახმად, ზრდის ქართველი სამხედროების კვალიფიკაციას და ა.შ.



დედაჩინის ზურგზე



ბრიუსელის აეროპორტში პოლიციამ უშიშროების ზომების უპარისონის გამო გაოცხა მოაწყო

ხელისუფლების მოლაპარაკება პოლიციასთან 31 მარტს ჩაიშალა. პოლიციელები, რომლებიც ჩართული არიან საპაერო ნავსადგურის დაცვაში, მოითხოვენ, უშიშროების სამსახურის შტატის გადიდება და ტერმინალის ტერიტორიაზე ყველა შემოსულის სათითაო კონტროლის სისტემის შემოღებას. ხელისუფლება წინააღმდეგია. პირველ აპრილს აეროპორტი კვლავ დახურული იყო, თუმცა, იგი უკვე მზადაა ფრენების ნაწილობრივი განახლებისათვის.

არგანბინელ მოხაქვანს, რომლის ძიებას „პლიგოის ყლაჯის“ იყო, აუქარქანს მიიწვიოს ობამა განგოჯა აღმონდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ცეკვა არგენტინაში ვიზიტის დროს დაგვ-

მილი არ ყოფილა. ტანგოს ამერიკელი ლიდერის პარტინორს, 43 წლის პროფესიონალ მოცეკვავე მორე გოდოის აუქრძალეს პოლიტიკოსის მიწვევა. ეს ქალბატონი ცნობილია აგრეთვე იმით, რომ 2006 წელს გამოჩნდა აბსოლუტურად შიშველი არგენტინული „პლეიბოს“ ყდაზე.

ობამა შეხვდა პარლანს ვაშინგტონში და განიხილეს ისრაელის სახელმწიფოსთან ბრძოლის პერიპეტია

შესვედრა გაიმართა ვაშინგტონში, სადაც მიმდინარეობს ბირთვული უშიშროების სამიტი. ინტრიგა პრეზიდენტის შესვედრის გარშემო გაჩნდა მას შემდეგ, რაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა, რომ ობამამ უარი თქვა ერდოლანთან შესვედრაზე. ობამას გარდა ერდოლანი შესვედა ასევე ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენს.

კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ კვლავ გაუშვა ბალისტიკური რაკეტები

10 მარტს იტყობინებოდნენ ჩრდილოეთი კორეის მიერ ორი ბალისტიკური რაკეტის გაშვების შესახებ იაპონიის ზღვის მიმართულებით. ერთი კვირის შემდეგ კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გაუშვა საშუალო სიშორის რაკეტა. გასულ სამშაბათს სამხრეთმა კორეამ ბრალი დასდო კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას მცირე სიშორის რაკეტის გაშვებაში აღმოსავლეთ სანაპიროს რაიონში.

ობამა და სი ხინაინმა განიხილეს ჩრდილოეთი კორეისა და ბირთვული უშიშროების პრობლემა

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ და ჩინეთის თავმჯდომარემ სი ცინინიმამ გამართეს მოლაპარაკება ვაშინგტონში ბირთვული სამიტის ფარგლებში. ლიდერებმა განიხილეს კორეის ნახევარკუნძულზე

„გართულებული მდგომარეობა“, ბირთვული უშიშროება და სომალდების მიმოსვლის თავისუფლება სამხრეთ ჩინეთის ზღვაში.

ასაღის არხი 20-ზე მეტი ალაშიანი გაანაღვრა!

სირიის სამხედრო-საპაერო ძალების ავიადარტემის მსხვერპლი ოცზე მეტი ადამიანი გახდა. დარტემა მიაყენეს სკოლასა და საავადმყოფოს, განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯონ ტირბიმ.

ბაიდანმა კიევისთვის პირი მილიარდი დოლარის ბრანის გამოყოფა მთავრობის შეხვედრაში

ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა განაცხადა ვაშინგტონში უკრაინის პრეზიდენტთან პოლტრ პოროშენკოსთან შესვედრის დროს, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯონ კერიც ესწრებოდა შესვედრაზე ცალკე ყურადღება დაეთმო უკრაინაში შინაპოლიტიკურ სიტუაციას.



საკრედიტო ბარემო

ამბარ უკვე მესამე ათეული წელია, რაც საქართველოში თავისუფალი ბაზრის პრინციპები ამოქმედდა. უამრავ ახალ რეალიასთან ერთად, ბაზარზე თავისუფლად მოქმედ სუბიექტებს ფინანსურ წყაროებზე წვდომის აუცილებლობა წარმოეშვა, თუმცა ეს გზა, სწორად მთლად ჩახერგილი თუ არა, ყოველ შემთხვევაში იაფარდით მოყვანილი ნამდვილად არ არის. პრობლემა კი ის გახლავთ, რომ მენარმე სუბიექტებს, უმეტესწილად მცირე და საშუალო ბიზნისის წარმომადგენლებს, სტარტაპის ანუ საქმის წამოსაწყობად საჭირო ფინანსური სახსრების მოპოვება მხოლოდ კომერციული ბანკებიდან ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან შეუძლებელია. მაგრამ, უბედურება ისაა, რომ როგორც სამენარმეო, ასევე საყოფაცხოვრებო სესხების გაცემისას როგორც კომპანებში, ისე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში, ფაქტობრივად, ერთსა და იმავე „საღებურას“ იყენებენ — ესაა კრედიტის სწრაფად და ყოველგვარი უზრუნველყოფის გარეშე გაცემა (რასაც კერძო მეფასშეებისგან კაცია ვერაფრით მიიღებს) და ვითომ „ნულფინანსი“ საპროცენტო განაკვეთი.

ბევრ მომხმარებელს უკვე საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი, რომ კომპანების თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემული ნულპროცენტო სესხის მომსახურებაში, კრედიტის გამცემი ორგანიზაციები იმხელა საკომისიოებს იღებენ, რომ სესხების წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი რამდენიმე ასეულ პროცენტს აღწევს, რის მსგავსი რამ არც ერთ მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულ ქვეყანაში არ ხდება. ეს ის თანხა გახლავთ, რომელიც ბანკის გადაწყვეტილებით, ყველა აუცილებელი საფინანსო ხარჯის დასაფარავად საჭირო კრედიტის მოსამსახურებლად მის სრულად დაფარვამდე. მკითხველს თუნდაც მარტივი არითმეტიკული გაანგარიშებით თავი რომ არ შევანყინოთ, უბრალოდ ვიტყვი, რომ კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აბსოლუტური უმრავლესობა „ნულპროცენტო“ მონათლულ სესხებს, ფაქტობრივად, წლიურ ეფექტურ 450-პროცენტთან (!) საპროცენტო განაკვეთად გაცემს, რაც მსოფლიო პრაქტიკაში უპრეცედენტო შემთხვევაა. მეტიც: ზოგ შემთხვევაში ეს განაკვეთი 700 პროცენტამდეც ადის!

2011 წლის იანვრიდან ამოქმედებული საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით მიღებული განკარგულების „კომერციული ბანკ-

მსახურება „საპროცენტო“ კანონი

ბის მიერ საბანკო მომსახურებისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მინოდების წესის შესახებ“, ბანკები ვალდებული გახდნენ, სესხის მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა გასანევი ხარჯის თაობაზე კლიენტებისთვის ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდებინათ, თან იმ რისკების შესახებაც გაეფრთხილებინათ, რომლებიც შეიძლება კრედიტის აღების პირობების დარღვევას მოჰყვას. აღნიშნული წესი მოქმედებს მაშინ, როცა სამომხმარებლო კრედიტის ოდენობა 300 ლარზე მეტი და 50 ათას ლარზე ნაკლებია, რითაც „გონებასხარტი“ გამოსესხებები კარ-



გად სარგებლობენ და როცა სესხის ოდენობა 300 ლარზე ნაკლებია, სესხებს, რომელთა მთლიანი რიცხოვნობა ძალიან დიდია, რომ იტყვიან, „მამასისხლად“ გასცემენ. ამიტომაცაა, რომ ბოლო ხანებში აქტიურად განიხილება ონლაინ-სესხების კომპანიებში სახელმწიფო რეგულაციების შემოღების საკითხი. საქმე იქამდეა გამაფრებელი, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სულაც მათ აკრძალვას მოითხოვს, რადგან ძალიან ბევრ შემთხვევაში დაგროვილი საპროცენტო მომსახურების თანხამ კრედიტის ძირს ათობით და მტკვრავს გადააჭარბა.

აღნიშნული საკითხის სამართლებრივ სივრცეში სრულად მოსაქცევად, საქართველოს პარლამენტში დეპუტატები სათანადო კანონპროექტს უახლოეს მომავალში განიხილავენ. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ნოდარ ებანიძის განცხადებით, ამჟამად მიკროსაფინანსო ორგა-

ნიზაციები, ფაქტობრივად, ურეგულაციოდ მოქმედებენ და, იმის მიუხედავად, რომ ოფიციალურად ეროვნულ ბანკს ექვემდებარებიან, ეს რეგულაცია, არსებითად, მხოლოდ რეგისტრირებით შემოიფარგლება. შემუშავებული კანონპროექტით კი მიკროსაფინანსო და ონლაინ-სესხების გამცემ სხვა ორგანიზაციების რეგულირებისა და ანგარიშგების ერთიანი ფორმების ჩარჩოებში მოქცევა გათვალისწინებულია.


ამასთან, ექსპერტთა აზრით, რეგულაციების შემოღების საკითხისადმი ფრთხილი მიდგომა საჭირო, რადგან სახელმწიფო მასში მოუხრებლად არ უნდა ჩაერიოს, მეორე მხრივ კი კომპანებიდან უარით გამოსტუმრებული პოტენციური მსესხებელი ნაკლებად მორიდებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების თუ კერძო მეფასშეების მსხვერპლი არ უნდა გახდეს. ამიტომაც, როგორც ჩანს, მათ კრედიტების საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარი ყველა ტიპის სესხებზე უნდა დაწესდეს, მით უმეტეს, რომ ონლაინ-სესხების სფეროში სრული ანარქიაა. სპეციალისტები საგანგებოდ იმსახვ ადინშნავენ, რომ საქართველოში ამ ტიპის სესხების გამცემი ზოგიერთი ისეთი ორგანიზაცია მუშაობს, რომელსაც ვეროპის ბევრ ქვეყანაში მოღვაწეობა აკრძალულიც კი აქვს (!). იმის გამო, რომ ასეთი ორგანიზაციების მიერ სესხების გაცემის ინტერნეტ-რეგულაციის სისტემა არ არსებობს, ამ სფეროში საკმაოდ ხისტი და, რაც მთავარია, ეფექტიანი წესებია შემოსაღები.

თუ რაოდენ რთულადაა ქვეყანაში კრედიტების, მათ შორის იპოთეკური სესხების გაცემის საქმე, ამის თაობაზე მართო ერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება: არსებული არაოფიციალური ინფორმაციით, სადღესიფო კომერციული ბანკებს 12 მილიარდი ლარის ოდენობის იპოთეკური სესხი აქვთ გაცემული. სანაცვლოდ კი... 300 მილიარდი ლარი ღირებულების ქონება აქვთ დაყვადებული (!). მიკროსაფინანსო ორგანიზაციები კი სესხებს საგირავნო უზრუნველყოფის გარეშე გაცემენ, თუმცა მსესხებლის მხრიდან ვალის გადაუხდელობის გამო წარმოშობილი პრობლემის შემთხვევაში, სასამართლოს ძალით, მისი კუთვნილი ნებისმიერი ქონების დაყვადების უფლება აქვთ. მაშასადამე, გამოდის, რომ სესხის საგირავნო უზრუნველყოფის გარეშე გაცემა სხვა არაფერია, თუ არა წმინდა წყლის ხაფანგი.

ამდენად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ექვტარეშეა, რომ საზოგადოებრივი ყოფიერების ამ სფეროში სამართლიან ურთიერთობებს მტკიცე საკანონმდებლო ბაზა სჭირდება.

მთარ ტურაბალიძე

სულიერება



დიდარხვის მესამე კვირა

ჯვრის თაყვანისცემის კვირიაკე

3 აპრილს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დიდმარხვის მესამე კვირიაკეს ხვდება პატიოსანი ჯვრის საკურთხეველიდან მლოცველთა წინაშე გამობრძანებით, მისი თაყვანისცემით.

...ცნობილია, რომ შუა მარხვაში ჯვრის თაყვანისცემა დადებულია იმისთვის, რომ მმარხველი მორწმუნენი განამტკიცოს სულიერად: მათ განამტკიცებს გახსენება უფლის ნებისმიერ ვნებისა, რომელიც მან თავს იდო კაცთა ცხოვრებისთვის. როგორც უფალი აღდგა მკვდრეთით და ზეცად ამაღლდა, მორწმუნენიც სასოვნად, რომ თავიანთი სულიერი დღეისთვის და ქრისტიანული ჯვრის ტვირთვის სანაცვლოდ უფალი მათაც აღადგენს მკვდრეთით და აღამაღლებს ზეცად.

საგულისხმოა, რომ ჯვრის თაყვანისცემა აღნიშნული კვირიაკის შემდეგ კიდევ რამდენიმე დღეს გრძელდება...

ამ დიდ დღესასწაულზე მლოცველნი თაყვანს სცემენ მინდვრის ყვავილებით ლამაზად შეკრულ ჯვარს, ეამბორებიან მას, მუხლს იყრიან მის წინაშე.

...მაცხოვარმა ხომ ჯვრით სძლია ცოდვას, სიკვდილს და ყოფოხეთს!

სრულიად საქართველოს ჯვრის თაყვანისცემას გილოცავთ!

გიული ლიპარტია

დანაშაულის პრევენციის ცენტრი ახალ ოფისში გადამიდა

იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“ ახალ ოფისში გადადის. უწყების ინფორმაციით, წერეთლის გამზირზე მდებარე შენობა ცენტრის საჭიროებების გათვალისწინებით სპეციალურად გარემონტდა. იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი უწყებების ახალი ოფისი თეა წულუკიანმა დააფინანსა.

ახალი შენობა, უშუალოდ თანამშრომლების საჭიროებების გარდა, „ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროგრამის“ ბენეფიციარებზეა მორგებული. პროგრამა განხორციელდება დანაშაულის პრევენციის მიზნით სორციელდება და მასში ყოფილი პატიმრები არიან ჩართულნი. „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“ მათთვის სხვადასხვა სერვისს ასორციელებს. ახალ ოფისში პროგრამის ბენეფიციარებთან შესვენდრებისათვის სპეციალური სივრცეებია გამოყოფილი, რათა პროგრამის მონაწილეებმა — ყოფილმა პატიმრებმა, თავი მშვიდ, არასტრესულ გარემოში იგრძნონ და მაქსიმალურად კომფორტულ გარემოში შეძლონ კომუნიკაცია დანაშაულის პრევენციის ცენტრის თანამშრომლებთან.

„ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა“ 2012 წლის ბოლოს იუსტიციის მინისტრთა წულუკიანის ინიციატივით შეიქმნა. მისი მიზანი სხვაგვარად სრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებული პირების რეაბილიტაციის ხელშეწყობაა. 2013-2015 წლებში პროგრამით ისარგებლა 1621-მა ყოფილმა პატიმარმა. ამათგან, 597 ბენეფიციარს გაენია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის დახმარება; უფასო სამგზავრო ბარათი მიიღო 232-მა; იურიდიული კონსულტაცია გაიარა 403-მა; ფსიქოლოგის მომსახურება გაენია 235 ბენეფიციარს; დასაქმდა 203 ყოფილი პატიმარი; 207-მა ბენეფიციარ-

მა წარმატებით გაიარა პროფესიული გადამზადების კურსები. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგრანტო კონკურსის ფარგლებში 43 ყოფილი პატიმრის 42 ბიზნეს-იდეა დაფინანსდა.

მაკა ჩიჩუაშვილი „ახალი მზიურის“ საპროცენტო პროცესი დააბრუნა

საპროცენტო პროცესი პირველი ლედი გუშინ პატარა თემოსთან ერთად, მზიურის პარკის ტერიტორიაზე პროექტი „ახალი მზიურის“ ფარგლებში გამართულ ღონისძიებას დაესწრო და საპროცენტო პროცესი დააბრუნა. პროექტი საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის თანადაფინანსებით სორციელდება: „მზიურში“ იწყება მშენებლობა იმისათვის, რომ ყოველთვის ბევრი ხალხი სტუმრობდეს და შემოქმედებითად იყოს დატვირთული. დიდ ხანს ველოდით ამ პროექტის განხორციე-



ლებას. პროექტს საქართველოს პრეზიდენტმა დაუჭირა მხარი. მოწყობა სოციალური კაფე, სადაც თავს მოიყრის ბევრი ადამიანი, ბავშვები, განხორციელდება უამრავი პროექტი და ამოქმედდება ამფითეატრი. ყველას გილოცავთ, ნამდვილად არაჩვეულებრივი დღეა! — აღნიშნა პირველმა ლედმა.

„მნიშვნელოვანი პროგრამა“ აჭარისა და გურიის რეგიონებში ზაფხულის სეზონისთვის

სს „მნიშვნელოვანი პროგრამა“ ტურისტულ რაიონებში ზაფხულის სეზონისთვის მზადდება განაგრძობს. ამჟამად, რეაბილიტაცია მიმდინარეობს ქობულეთში, კერძოდ ქვესადგურ „ივერიაში“. განხორციელებული სამუშაოების შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება აღმაშენებლის, ვერულაძის, კომპლექსის, თამარ მეფის, რუსთაველის, ტაბიძისა და გოგებაშვილის ქუჩების ელექტრომომარაგება.

სამუშაოების ფარგლებში, ჩაიდება ახალი მიწისქვეშა კაბელი, რომელიც ჩაანაცვლებს ქაობზე გამავალ საბაქრო ხაზს. რეაბილიტაციის შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდება ქსელის უსაფრთხოება და შემცირდება უამინდობით გამოწვეული დაზიანების ალბათობა. ქობულეთში რეაბილიტაციის პირველი ეტაპი თებერვალში განხორციელდა.

რაც შეეხება ბათუმს, კომპანია მარტის შუა რიცხვებში ძველ ბულვარში სრულიად ახალი 10/0.4 კვ ქსელი ააშენა; მთლიანად შეიცვალა დაბალი და საშუალო ძაბვის ქსელის კაბელები, მოხდა ათამდე სატრანსფორმატორო პუნქტის რეკონსტრუქცია და ძველი ამორტიზირებული მაღალი ძაბვის კაბელების შეცვლა. ზაფხულისთვის მზადების პროექტის ფარგლებში, „ენერჯო-პრო ჯორჯია“ გეგმავს სარეაბილიტაციო სამუშაოებს აჭარისა და გურიის სხვა რეგიონებშიც.

ოლიმპიური ჩაგვიონი

1964 წლის 10-24 ოქტომბერს ტოკიოში (იაპონია) ზაფხულის XVIII ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლა. სპორტის 19 სახეობაში მედლების 163 კომპლექტი გათამაშდა. საბრძოლო ადგილებისთვის 93 ქვეყნის 5149 სპორტსმენი (683 ქალი) იბრძოდა. მოასპარეზეთა შორის საქართველოს 18 წარმომადგენელიც გასლდათ. ოლიმპიადებში პირველი გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ხმლით მოფარიკავეებმა. ამ წარმატებაში უდიდესი წვლილი შეიტანა ნუგზარ ასათიანმა. დაშნით მოფარიკავე გურამ კოსტავამ ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ტოკიოში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ფრენბურთელთა საკავშირო ნაკრების წევრი ვაჟა კაჭარავა. სპორტის ეს სახეობა, ისევე როგორც ძიუდო, იაპონელთა თხოვნით შეიტანეს თამაშების პროგრამაში. ქართველმა ძიუდოისტებმა - ანზორ კიკნაძემ და ფარნაოზ ჩიკვილაძემ ოლიმპიური დებიუტი მიიმე წონაში მოპოვებული ბრინჯაოს მედლებით აღნიშნეს. ქართველმა სპორტსმენებმა ტოკიოში სულ 2 ოქროს, 4 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭეს. როგორც აღნიშნეთ, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ნუგზარ ასათიანი (ფარიკაობა) და ვაჟა კაჭარავა (ფრენბურთი); რომან რურუას (კლასიკური ჭიდაობა), გურამ სალარაძეს (თავისუფალი ჭიდაობა), შოთა ქველიაშვილსა (ტყვიის სროლა) და ლევან მოსეშვილს (კალათბურთი) ვერცხლის მედლები ერგოთ, სოლო გურამ კოსტავა (ფარიკაობა), ნოდარ სოსაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), დავით გვანცელაძე (კლასიკური ჭიდაობა), ანზორ კიკნაძე (ძიუდო) და ფარნაოზ ჩიკვილაძე (ძიუდო) მესამე ადგილებზე გავიდნენ. დანარჩენ ჩემპიონებთან მიღწევები ასეთია: ალექსანდრე ტუტაკაევი (ცურვა) - IV, რობერტ შავლაყაძე (მძლეოსნობა) - V, როსტომ აბაშიძე (კლასიკური ჭიდაობა) - V, ბორის პოლულიასი (წყალში სტომა) - VI, ზარბეგ ბურიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) - VI, შოთა ლომიძე (თავისუფალი ჭიდაობა) - IX, ომარ ფხაკაძე (ველოსპორტი) - მეოთხედფინალი.



...არც ერთ მოფარიკავეს არ ჰგავდა. მას არასდროს უცდია, ვინმეს დამგვანებოდა, ეს იყო უაღრესად თვითმყოფი სპორტული ნიჭი, რომელმაც საფარიკაო სამყაროში დაამკვიდრა ბრძოლის საკუთარი მანერა, - წერს ვეტერანი მოფარიკავე და ყურნალისტი არჩილ გოგელია ნუგზარ ასათიანზე, პიროვნებაზე, რომელმაც ქართულ სპორტს სახელი და დიდება მოუტანა: გუნდურ ფარიკაობაში ტოკიოს ოლიმპიური თამაშების (1964) ჩემპიონმა ოთხი წლით ადრე რომის ოლიმპიადებზეც მოსინჯა ძალები. ასევე, გუნდურში 1965 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა ამ რანგის შეჯიბრებებში ორჯერ ვერცხლისა (1961, 1963) და ერთხელ ბრინჯაოს მედალი (1962) დაიმსახურა, სტუდენტთა მსოფლიო თამაშების მეორე პრიზორმა (1961) და სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა პირად (1961) და გუნდურ ასპარეზობებში (1960-1964), საკავშირო თასს ოთხჯერ ფლობდა.

გუგუგუგუგუ „ჩკინის“ ხელითა და ხასიათით

შირის პირველობის მოგების შემდეგ საკავშირო ნაკრებში მიიწვიეს. პირველი დიდი გამოცდაც მაშინ ჩააბარა: 1955 წელს ლენინგრადში მოფარიკავეთა სოლიდურ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა. მოხმალავთა ასპარეზობა ორგანიზაციის ოლიმპიურმა და სამგზის მსოფლიოს უნგრელმა ჩემპიონმა რუდოლფ კარპატიმ მოიგო. ამ შეჯიბრებებზე მან ერთადერთი შეხვედრა დათმო და ის მარცხი (4:5) სწორედ 18 წლის ნუგზარ ასათიანისგან იხვინა. ქართველმა მუსკეტერმა წარმატებით იასპარეზა 1959 წლის საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებზე, მაგრამ ოლიმპიურ ნაკრებში მოსახვედრად ეს არ იყო საკმარისი. კანდიდატები საბჭოთა კავშირის ჩემპიონატს უნდა დაესახელებინა. საუკეთესო ხუთეულში (ოლიმპიადებზე გუნდურში სწორედ ხუთეული მიდიოდა) ადგილის დასაბეჭებლად 42 მოხმალავი იბრძოდა, მათ შორის იყვნენ სპორტის ამ სახეობის დიდოსტატები - იაკობ რილსკი, დავით ტიშლერი, უმარ მავლიხანოვი, მარკ რაკიტა, ლევ კუზნეცოვი, ევგენი ჩერეპოვსკი. ესპადრონისტა ამ თანავარსკვლავედთან პაექრობისას ასათიანმა გზიდან უპირველესი კონკურენტი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და მელბურნის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზორი კუზნეცოვი ჩამოიშორა, ორჯერ აჯობა რილსკის. საბოლოოდ ქართველმა მუსკეტერმა პირად პირველობაში მეოთხე ადგილი დაიკავა და,

ფაქტობრივად, საოლიმპიადედ გამზადებული საბჭოთა ნაკრები „გადაახალისა“. თუმცა, მთავარი პაექრობა ჯერ კიდევ წინ იყო: გუნდური ასპარეზობის ფინალში ცსკა და „ბურევსტინკი“ გავიდნენ. არმეილთა ღირსებას იცავდნენ დავით ტიშლერი, ლევ კუზნეცოვი, უმარ მავლიხანოვი და მარკ რაკიტა - ფაქტობრივად, საბჭოთა ნაკრების ძირითადი ბრძოლა ორგანიზაციის გუნდში გამოდიოდნენ ნუგზარ ასათიანი, მორის სახვაძე, ევგენი ჩერეპოვსკი და ვალერი ჟიტნი. ამჯერად გამოცდილებას ახალგაზრდულმა ჟინმა აჯობა - „ბურევსტინკი“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. ამ წარმატებაში უდიდესი წვლილი ასათიანმა შეიტანა, რომელმაც ზედიზედ აჯობა ტიშლერს, რაკიტას და კუზნეცოვს, გადამწყვეტი პაექრობისას კი მავლიხანოვს 5:2 მოუგო. სპორტსმენისთვის ნებისმიერი შეჯიბრება და გამარჯვება მნიშვნელოვანი და დაუვიწყარია, თუმცა, ოლიმპიურ თამაშებს მანც ვერაფერი შეეძრება, მით უმეტეს, თუ ამ უდიდესი ფესტივალის ტრიუმფატორი ხარ. ნუგზარ ასათიანმა ეს სიხარული 1964 წელს ამომავალი მზის ქვეყნის დედაქალაქში განიცადა. ისევ ბატონ არჩილ გოგელიას დავესხებო: „ამ დიდი ასპარეზობის ფინალში საბჭოთა გუნდი შეხვდა იტალიელ ხმლით მოფარიკავეებს. ეს გახლდათ უაღრესად პრინციპული შეხვედრა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცა შეკითხვაზე: რომელი სა-

ფარიკაო სკოლა იყო ყველაზე ძლიერი მსოფლიოში... აი, სად გამოჩნდა კიდევ ერთხელ ნუგზარის რკინისებური ხასიათი... ნუგზარის სიმშვიდე სხვებსაც გადაეღო. მისი ყოველი გამოსვლის შემდეგ ანგარიში საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ იზრდებოდა. ასათიანის „ჩკინის ხელმა“ წერტილი დაუსვა „საუკუნის მატჩს“ - ნუგზარმა გაიმარჯვა დამამთავრებელ ბრძოლაშიც, რითაც ფარიკაობის ისტორიაში პირველად მსოფლიოს უძლიერეს გუნდის სახელი მოუხვეჭა საბჭოთა ხმლით მოფარიკავეებს“. დასკვნით შეხვედრაში ასათიანმა აპენინელ ჯანაპოლო კალანჩინის 5:3 სძლია, საბჭოთა ნაკრებმა 9:7 გაიმარჯვა და ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. აი, როგორ იგონებს ამ წუთებს თავის ნიგნში ბატონი ნუგზარი: „იმდენად ველავადი, რომ შეხვედრის მსვლელობა დანერვილებით არ მახსოვს... ჩვენი გუნდის წევრები სარბიელზე გადმოცვივდნენ, მეხვევიან, მილოცავენ. ჩემ ბედნიერებას საზღვარი არა აქვს. ვიყურები მონინაალმდეგისკენ. მას საფარიკაო ნილაბი მოუხსნია, ისმენს თანაგუნდელების დამამშვიდებელ სიტყვებს, თვალები ცრემლით აქვს სავსე. მე მესმის მისი... ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი რამდენჯერ მიოცნებია ამ უდიდეს პატივზე ბავშვობაში, რა მიუწვდომლად მიყვებოდა იგი. ამიტომ ტოკიოს ოლიმპიადე საუკეთესო ფურცელია ჩემ სპორტულ ბიოგრაფიაში“.

ნი ტიტულების ათვლა 1960 წელს თბილისიდან დაიწყო. მაშინ საქართველოს დედაქალაქში საბჭოთა კავშირის თასი გათამაშდა. მასპინძელთა ტრიუმფს იური ოსიპოვმა ჩაუყარა საფუძველი - რაპირაში მოიპოვა მთავარი პრიზი, დაშნაში გურამ კოსტავამ დაიმსახურა საპატიო ჯილდო, ხმალი კი ნუგზარ ასათიანი ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. მომდევნო წელს ქართველმა მოფარიკავემ შესანიშნავად იასპარეზა ნევისპირა ქალაქში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე, სადაც 80 მოხმალავე ეცილებოდა ერთმანეთს საპრიზო ადგილებს. ფინალში ბოლო ორთაბრძოლის წინ ხუთი მოგებით ლევ კუზნეცოვი ლიდერობდა, ერთი გამარჯვებით ნაკლები ჰქონდა ასათიანს, მაგრამ მან იოლად დაჯაბნა რაკიტა, მერე გადამწყვეტ პაექრობაში 5:3 დაამარჯვა კუზნეცოვი და პირადში გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. იმავე წელს იტალიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე ნუგზარ ასათიანმა და მისმა თანაგუნდელებმა ფინალური პაექრობა პოლონელებთან დათმეს - 5:9 და ვერცხლის მედალს დასჯერდნენ. სამაგალიტო მედალს დასჯერდნენ ასათიანის მედალი, ოთხი წლის მერე აისრულეს ოცნება: პარიზში პირად კუბერტენის დარბაზში ნახევარფინალური ორთაბრძოლა მოუგეს მასპინძლებს 9:5, გადამწყვეტ პაექრობაში კი უნგრელებს მძლეველ იტალიელებს დაუპირისპირდნენ. რევანში არ შეეგა - საბჭოთა მოფარიკავეებმა ისევ 9:7 გაიმარჯვეს და მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვეს. ოლიმპიურმა ჩემპიონმა კიდევ არაერთხელ გაახარა ქომაგები, 1968 წელს მეოთხედ დაეუფლა საბჭოთა კავშირის თასს და აქტიურ სპორტსაც ჩამოშორდა. **სწორუბოვარი სპორტსმენი და გულიანობიერი პიროვნება ნუგზარ ასათიანი ნადრევედ, 55 წლისა წავიდა ამ ქვეყნიდან - 1992 წლის 2 აპრილს გარდაიცვალა.**

ჩოგბურთი

მაიაის ფინალში აზარენკა კუზნეცოვას დაუპირისპირდება



მაიაის მასტერსის ფინალში მსოფლიოს მერვე ჩოგბურთელი ვიქტორია აზარენკა რეიტინგის მე-19 ნომერ რუს სვეტლანა კუზნეცოვას დაუპირისპირდება. ნახევარფინალში კუზნეცოვამ შვეიცარიელ ტიმეა ბაჩინსკის 7:5, 6:3 აჯობა. შეხვედრა საათსა და 57 წუთს გაგრძელდა. აზარენკამ კი ავსტრალიის ლია პირველობის კომპლექსი ჩემპიონი გერმანელი ანგელიკა კერბერი 6:2, 7:5 დაამარცხა. მატჩი საათსა და 34 წუთს გაგრძელდა. ვიქტორია II შესაძლებლიდან 7 პრივი შეასრულა. აღსანიშნავია, რომ ბელარუსმა ზედიზედ მეთერთმეტე მატჩი მოიგო. აზარენკა - კუზნეცოვას შორის ურთერთშეხვედრებში ანგარიში 4:4-ია. ფინალი ხვალ 18 საათზეა ჩანიშნული. **პიტალი ჯაფარიძე**

ფხვბურთი

25 მილიონი ჟოჯას საზონში - „ვალენსიაში“

მსაბნეთის 2004 წლის ჩემპიონი „ვალენსია“, რომელიც ამჟამად უმწვრთნელია, შესაძლოა, ახალი სეზონიდან პორტუგალიელმა ჟოჯე მოურიონომ ჩაიბაროს. როგორც ბრიტანული გამოცემა The Sun-ი იტყობინება, ესპანური გუნდის ხელმძღვანელობა „განსაკუთრებულს“ განსაკუთრებულ პირობებს სთავაზობს: სეზონში 25 მილიონი ევროს ხელფასის სახით... რამდენად შესაძლებელია სიმართლეს ეს ინფორმაცია, უახლოეს ხანებში გახდება ცნობილი, ისე კი ჟოჯეს ასეთ გასამრჯელოზე უარის თქმა უნდა გაუძნელდეს. აქამდე მოურიონოს ინგლისურ „მანჩესტერ იუნაიტედში“ ასაქმდნენ და, თითქოს, ზაფხულიდან სწორედ „ოლდ ტრაფორდზე“ უნდა ემუშავა. რაც შეეხება „ვალენსიას“, „ლამურებმა“ ორი დღის წინათ ინგლისელი გარი ნევილი წარუმატებელი შედეგების გამო დაითხოვეს. საერთოდ, წლეულს მესტალიელები სა-



შინლად თამაშობენ და სეზონის დასრულებამდე ორი თვით ადრე ორი მწვრთნელი შეიცვალეს. ნევილამდე ნუნუ ესპირიტუ დაკავებული თანამდებობიდან ვადამდე გაათავისუფლეს. **გიორგი შოთაძე**

ახალი შეფუთვა...

საქმის ფენოვანი საჭაპურის ქაბა, მობილური ტელეფონით საუბარი აიპრობება

საბარტმელომ ვიზალიზირებულია აუცილებელი მოთხოვნები შეასრულა და ახლა ქვეყანა ვეროკავშირის გადამწყვეტილებას ელოდება. თუმცა, ამ თემასთან დაკავშირებულ ინსინუაციებს კვლავ დაპრობილი აქვს როგორც პრესა, ასევე - სოციალური ქსელები, რაც ერთ-ერთ კიდევ დაადასტურა ვეროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტის ჟოზეფ დოულის ბოლოდროინდელი განცხადებებმა.

ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „დაცული მგზავნი - უსაფრთხო საქართველოს“ გამგეობის თავმჯდომარე შაბა მარბაძე:

რატიონალ, არავინ საუბრობს იმ ერთი შეხედვით მეორეხარისხოვან პრობლემებზე, რომელთა გადაწყვეტის გარეშე ჩვენი ქვეყანა ევროპული ოჯახის წევრი ვერ გახდება. სამწუხარო იქნება, თუ ვილატას საბაბი მიეცემა, რომ საქართველოს ევროპულ მისწრაფებებს პრობლემები შეუქმნას, თუმცა ეს ისევე ჩვენი თავს უნდა დავაბრალოთ და ტყუილად სხვისკენ ხელს ნუ გავიშვებთ. ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს იმისათვის, რომ პრევენცია მოვახდინოთ.

კერძოდ, რა პრობლემებს გულისხმობთ?

ზოგადად, პრობლემა ბევრია, მაგრამ, ნათქვამია, რომ პური მეპურემ უნდა აცხოს და ამიტომ მხოლოდ იმ პრობლემებზე ვისაუბრებ, რომელთა მოგვარებაზეც აქტიურად მუშაობს ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციის პროფესიონალები - იურისტები, ფსიქოლოგები, ინჟინრები და სოციოლოგები. ჩვენი მიზანია, რომ დაცული იქნას მგზავრთა და ფეხით მოსიარულეთა უფლებები და უსაფრთხოება. ამ მიზნით, ვატარებთ კვლევებს, ვახდენთ სხვადასხვა სიტუაციების მოდელირებას, რის შემდეგაც კეთდება ანალიზი, ხოლო შემდეგ ეგზავნება მთავრობას, პარლამენტს და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

რამდენადაც ვიცით, ბოლო კვლევა და ანალიზი და მათზე დაფუძნებული რეკომენდაციები მძლეობისთვის გარკვეული შეზღუდვების დაწესებას გულისხმობს. მოდით, ამ კონკრეტულ საკითხზე ვისაუბროთ.

დიახ, სწორად შენიშნეთ. ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ უკვე ინიცირებულია დამატება კანონში. იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებიდან უკვე მივიღეთ დასტური, რომ შესაბამისი ცვლილება მალე კანონის სახეს მიიღებს. საუბარია

მძლეობის ქვეყნის წესებზე. მაგალითად, როგორც ვიცით, მძლეობის მოძრაობის დროს ეკრძალებათ მობილური ტელეფონით საუბარი, მოკლე ტექსტური შეტყობინებების მიღება და გაგზავნა, რადგან ეს მათ ყურადღებას უფანტავს, რაც საფრთხის ქვეშ აყენებს, როგორც მგზავრებისა და ფეხით

მირთმევის დროს იფხვება, ნაფხვენები ადამიანს, ამ შემთხვევაში - მძლეობს, ეყრება გულისპირზე და ფეხებზე, იყრება სავარძელზე, რა დროსაც მძლეობი ცდილობს ნაფხვენების მოშორებას, ფეხებზე ყურადღება და იზრდება ავტოსავალი შემთხვევის რისკი...

პირველ ეტაპზე ეს აკრძალვა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძლეობებს შეეხება?

აკრძალვა შეეხება ყველას. დაწესდება საჯარო სანქციები. უბრალოდ, საზოგადოებრივი ტრანსპორტის შემთხვევაში, დაჯარიმდებიან როგორც თავად მძლეობი, ასევე მათი დამქირავებლებიც. ამჟამად სწორედ ჯარიმის ოდენობის დადგენა ხდება. ალბათ, მზარდ ჯარიმაზე შეეჯერდებიან - მეორედ დარღვევაზე ჯარიმა გაიზრდება და ა.შ.

დარწმუნებული ვარ, ბევრი მძლეობი გააპროტესტებს.

ნებისმიერი აკრძალვა ბუნებრივად იწვევს პროტესტის



მოსიარულეთა, ასევე თავად მძლეობის უსაფრთხოებას, ჯანმრთელობას და სიცოცხლეს. უნდა ითქვას, რომ მობილური ტელეფონი არ არის ერთადერთი საფრთხე. საფრთხის შემცველია მოძრაობის დროს სიგარეტზე მოკიდება (განსაკუთრებით - ასანთით მოკიდება), მაგნიტოფონის ან სხვა აპარატურის პულტით სარგებლობა და ა.შ. ჩვენ გამოვითხოვეთ შესაბამისი სტატისტიკა, ჩავატარებთ კვლევას და კვლევის ანალიზის საფუძველზე დავადგინებთ, რომ განუზომლად ბევრად სახიფათოა მოძრაობის დროს მძლეობის მიერ ფენოვანი ცომისგან დამზადებული საკვების მიღება. მოგეხსენებათ, რომ ფენოვანი ცომისგან დამზადებული საკვები

გრძობას, თუმცა, ყველა დამეთანხმება, რომ პრობლემა სასწრაფო გადაწყვეტას ითხოვს, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. ევროკავშირის მოთხოვნებიც რომ არა, ეს საკითხი მაინც დადგებოდა.


მოკლედ, ნახევრად ხუმრობით (თუმცა, ყველა ხუმრობაშია სიმართლის მარცვალი) მძლეობებს ვურჩევ, მიირთვან იმერული საჭაპური, გურული ღვეზელი, ჰამბურგერი, სენდვიჩი და ა.შ. და თუ მაინცდამაინც ფენოვან საჭაპურს მიინდომებენ, გააჩერონ სატრანსპორტო საშუალება და ისე დატკბენ ქართული კულინარიის ამ შედეგით.

ნიკა ასლანიძე

საბარტმელო

მარლენ მებრეველის გახსენება

ჩემო საყვარელო ძმაო, გილოცავ დაბადების დღეს, 3 აპრილი რომ შენი დაბადების დღეა. 19 წელი გავიდა შენი წასვლიდან, მე კი მგონია ეს გუშინ იყო, მტკიცა უშენობა, დრო ტკივილს ერთი წამითაც ვერ მინელებს. დედა და მამაც შენს სამყაროში გადმოსახლდა, რამაც სულ გამანადგურა. ცრემლით სავსე ჩემს თვალებსა და ატირებულ გულს უთქვენობა ჰქვია. მენატრებით, ძალიან მენატრებით.



არსებობს თურმე ისეთი მონატრება, სულში რომ გატანს ტკივილი და ძვლებამდე ჩადის. ცრემლები რომ გახრჩობს და თვალს არ ახელ რომ ცრემლი არ გადმოგივარდეს... მთელი შენი მეობა, რომ კვიცს და მაინც დუმხარ... დუმხარ და შენს მონატრებასთან ერთად იხარშები, პატარავდები და უსუსური ხდები.

შენ რომ სიძლიერე და სიამაყე იყავი ჩემი. მაღლობა უფალს, რომ არსებობდი, განათლებით, სილამაზით, კეთილშობილებით, ერთგულებით გამორჩეულ, მოყვასის დიდი სიყვარულით გულსავსე ადამიანო, ჩემო საყვარელო ძმაო მარლენ, როგორი გამორჩეული მშობლებიც გყავდნენ თავიანთი სიკეთითა და სათნოებით, ისეთივე იყავი შენც.

ჩვენ მუდამ ვილოცებთ თქვენი ლამაზი სულის მარადიული უკვდავებისთვის. ღმერთო შეიფარე შენი კალთის ქვეშ შენი შვილები და დაუშვიდრე ადგილი ნათელში.

შენი და ნინო

თბილისის უამრავი რკინიგზის პროექტი ბრძანდება

დედაბაბაძის მერის დავით ნარმანიას განცხადებით თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს და რკინიგზის პროექტზე თბილისის განვითარების გენერალურ გეგმაზე მომუშავე ჯგუფი მუშაობს. „გენერალურ გეგმაზე მომუშავე ჯგუფი მოამზადებს დასკვნას შემოვლითი რკინიგზასთან დაკავშირებით და ამის შემდეგ გახდება დაწვრილებითი ინფორმაცია ცნობილი და მსჯელობის საგანი ეს თემა. პროექტი გრძელდება და უნდა გაგრძელდეს აუცილებლად, ხოლო დაწვრილებითი დეტალები დასკვნის შემდეგ იქნება ცნობილი“, - განაცხადა დავით ნარმანიამ.

ქუთაისი-გაგუთის მონაკვეთის მოდერნიზაცია-რეკონსტრუქცია დაიწყო

საბარტმელომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით, ნიკვას ქუჩა-გეგუთის სატრანსპორტო კვანძის 4.1-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა დაიწყო. მიმდინარე სამუშაოები საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი სერგიანიამ მოინახულა. სამშენებლო მონაკვეთი ქ. ქუთაისში ნიკვას ქუჩის ბოლოს მდებარეობს.



ბარე მოედნიდან იწყება და გეგუთში არსებულ სატრანსპორტო კვანძთან სრულდება.

პროექტის შესაბამისად, აშენდება ოთხხაზოვანი ბეტონის გზა და 1 რკინიგზაზე გადასასვლელი ხიდი.

აღნიშნული მონაკვეთით სარგებლობენ სოფლები: გეგუთი, პატრიკეთი, საყულია, ოფურჩხეთის მჭიდროდ დასახლებული მოსახლეობა და გეგუთის კოლონიის ადმინისტრაცია, რის გამოც ავტოტრანსპორტის ინტენსივობა საკმაოდ მაღალია.

გეგუთის სატრანსპორტო კვანძს და ნიკვას ქუჩას შორის არსებული მონაკვეთი დაზიანებული იყო და, პრაქტიკულად, ვერ ატარებდა გაზრდილ სატრანსპორტო ნაკადს. სამუშაოები მიმდინარე წლის იანვარში დაიწყო და 2017 წლის გაზაფხულზე დასრულდება. პროექტის საერთო ღირებულება 17 მილიონ 777.777 ლარს შეადგენს.

ვისას ლეკვის გაზრდა სურს

თბილისის მერიის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო 4 აპრილს ბუკიას ბაღში მუნიციპალური თავშესაფრიდან გამოყვანილი გასტერილებული, იდენტიფიცირებული და ვაქცინირებული ლეკვების გაჩუქების აქციას მართავს. მერიის ინფორმაციით, ღონისძიება მიდევნებს უპატრონო ცხოველების საერთაშორისო დღისადმი, რომელსაც მოსოფლიო 2011 წლიდან, ყოველ 4 აპრილს აღნიშნავს. გაჩუქების აქციაში მონაწილეობას მიიღებენ ცნობადი სახეები, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და ვოლონტიორები, დარიგდება საინფორმაციო ბუკლეტები და მოქალაქეებს გაეწევათ სხვადასხვა სახის კონსულტაცია ცხოველების მოვლა-პატრონობის წესის დაცვისა და პუმანური მოპყრობის დანერგვის მიმართულებით, რაც დადებითად აისახება მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე და ცხოველების პოპულაციის მართვასა და უსაფრთხო გარემოს შექმნაზე.



რეკლამა 293-37-87 მაჩაბლის ქ. №7.

განცხადება 2016 წლის 30 აპრილს დღის 11 საათზე გაიმართება ჩოხატაურის სააქციო საზოგადოება „ტრანსპორტელის“ აქციონერთა საერთო კრება. 1. სს „ტრანსპორტელის“ 2015 წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგების და წლიური ბალანსის განხილვა; 2. განცხადებების განხილვა; 3. სხვადასხვა. მისამართი: ჩოხატაური, დუმბაძის ქუჩა №51. ჩოხატაურის სს „ტრანსპორტელის“ დირექტორი ლ. კაპაშვილი.

© ჩვენი კარავალინი

არხრხეთ სისხლი, არხრხეთ!

სტატიისტიკური მონაცემებით, დედამიწის მოსახლეობის მეოთხედი ტროპიკების რისკის ჯგუფშია, რა დროსაც სისხლძარღვებში, კერძოდ, ვენებში და არტერიებში, სისხლის შედედებები – ტროპიკები – წარმოიშობა. უბედურება კი ისაა, სადაც არ უნდა წარმოიშვას ტროპი, მას შეუძლია ნაწილობრივ ან მთლიანად შეაჩეროს სისხლის მიმოქცევა, რაც ძალიან საშიშია.

ასევე ძალიან სახიფათოა, თუკი ტროპი მოწყდება და სისხლის ნაკადთან ერთად რომელიმე ორგანოში მოხვდება, მაგალითად ფილტვებში, რის შედეგად ფილტვის არტერიის ტროპიზაციის წარმოიშობა, რაც სასწრაფო სამედიცინო დახმარებას საჭიროებს. ხოლო თუკი ტროპი ქალა ტვინში მოხვდება, კაცს შეიძლება ინსულტი დაემართოს.

ამიტომაცაა, რომ საჭიროა ტროპების შესახებ რაც შეიძლება მეტი ვიცოდეთ, რაც ამ საფრთხესთან გამკლავების მეტ შესაძლებლობას შეგვიქმნის.

ვაძეძი №1. შესაძლოა გარკვეული ხნის მანძილზე ტროპიზმი არანაირი ნიშნით არ ვლინდება. უფრო ხშირად ტროპიზმის დროს ზიანდება ფეხები, რა დროსაც, სიარულის დროს გაფართოებული ვენების გამო, კაცს სიმძიმის შეგრძნება ანუ უხეხა. ამ დროს ფეხები სივდება და ზომიში იმატებს, კანი წითლდება ან ლურჯდება. მოკლედ, ეს მდგომარეობა ძნელი შესამჩნევია არ არის.

მაგრამ, ტროპიზმი სხვა ადგილებშიც წარმოიქმნება, მათ შორის ღრმა ვენებში და ამ დროს ავადმყოფობა უსიმპტომოდ მიმდინარეობს და ადამიანი ვერც

ხვდება, რომ ტროპიზმი უყალიბდება. ამის ერთადერთი ხსნაა პროფილაქტიკა.

ვაძეძი №2. ოპერაციები, ტრავმები და ავიაგადაფრენები სისხლს ადედებენ. ტრავმებისა და ქირურგიული ჩარევების დროს, ორგანიზმს, დაზიანებული სისხლძარღვის „დასაკერებლად“ და სისხლის დაკარგვისგან თავის დასაცავად, სისხლის შედედება უწევს. ბლანტი სისხლი ტროპიზმის წარმოქმნის დიდი საფრთხეა, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევებში, როცა საქმე მძიმე ტრავმებს ეხება, რომელთა რეაბილიტაციას დიდი დრო სჭირდება.

ტროპიზმს ასევე ხელს უწყობს ხანგრძლივი უძრაობა, რომელიც ცხოვრების მჯდომარე წესის, ხშირი ავიაგადაფრენების, ავტოტრანსპორტით დიდ მანძილებზე გადაადგილების დროს წარმოიქმნება.

თუკი ხანგრძლივი ავიაგადაფრენა გინევეთ, შესაძლებლობისდაგვარად, მოერიდეთ ილუმინატორთან ადგილის ალბასს, რადგან ამ შემთხვევაში მგზავრობის უმეტესი ნაწილის სავარძელში გატარება მოგინევეთ. ეცადეთ გასასვლელთან ახლოს მოხვდეთ – ამ დროს, გინდა-არ გინდა, ფეხზე ადგომა მოგინევეთ მეზობელთა გასათარებლად. ამით თქვენ სისხლს მოძრაობას აიძულებთ, რითაც

ტროპიზმის წარმოშობის რისკს დიდად შეამცირებთ.

ვაძეძი №3. ტროპიზმის წარმოშობას ზოგიერთი ავადმყოფობა პროვოცირებს. მათ შორისაა ქარბი წონა (დიდი სიმსუქნის დროს ტროპიზმის წარმოშობის საფრთხე ხუთჯერ მატულობს), გულის

გარდა ამისა, ტროპიზმი ალენიშნება ონკოდაავადებულთა 15 პროცენტს. ტროპიზმის ალბათობას ასევე ზრდის სიმსივნის საწინააღმდეგო თერაპია.

ვაძეძი №4. მავნე ჩვევები ქვში-მარიტად ზიანის მომტანია. დამტკიცებულია, რომ თამბაქოს მწველებში ტროპიზმის წარმოშობის საფრთხე სამჯერ უფრო მაღალია, ვიდრე არამწველებს შორის. ამიტომაც, თუკი სიგარეტის მოწევაზე უარი ჯერაც არ გითქვამთ, ამის ნაკითხვის შემდეგ აუცილებლად თქვეთ რაც შეეხება რისკ-ფაქტორის შემცველ სხვა გარემოებებს, მათ შორისაა ალკოჰოლი, ცხარე, შებოლილი და მარილიანი საკვები, რომელიც სისხლის სიბლანტეს ზრდის.

ვაძეძი №5. ტროპიზმის მიზეზია სითხის უკმარისობა. თუკი ორგანიზმში ტროპიზმისკენა მიდრეკილი, ტროპი, შესაძლოა, ორგანიზმში წყლის ნაკლებობის გამოც წარმოიშვას. ამიტომაც რაც შეიძლება მეტი წყალი უნდა სვავთ! თუკი საამისოდ სამედიცინო უწყვენება არ არის, ვთქვათ, თირკმლების გამო, სითხის სადღელამისო ნორმა 1,5-2 ლიტრს უნდა შეადგენდეს: დილით აუცილებლად დალიეთ ჭიქა წყალი, ასევე მოიქცით ძილის წინ და საკვების მიღების შუალედებში.

ვაძეძი №6. სიცოცხლე მოძრაობაშია. ტროპიზმის პროფილაქტიკას ხანგრძლივი, დამტკიცებული ვარჯიში არ უხდება. სამაგიეროდ სასარგებლოა ზომიერი დატვირთვა – დილის გამამხნეველი ვარჯიში, სიარული, ცურვა, სამსახურშიც მეტი იმოძრაოთ – ხშირ-ხშირად შეიცვალეთ პოზა, სკამიდან ადექით და გაიარ-გამოიარეთ.

მთამადა
ნილო ალექსანდრიამ



© გაითვალისწინეთ!

ამერიკელ მეცნიერთა აზრით, ტროპიზმის პროვოცირება სტრესსაც შეუძლია, რასაც განსაკუთრებით ქალები უნდა მოერიდონ – გამოკვლევებით დადგინდა, რომ ფსიქოემოციური დაძაბულობის პასუხად მამაკაცებს არტერიული წნევა უწევთ და პულსი უჩქარდებათ, ქალებში კი იშემიის რისკი და სისხლის შედედების დონე იზრდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ სისხლის გათხევადებას ხელს უწყობს ალუბალი, შტოში, მოცვი, მანდარინი, ყოლო და კოჭი. სისხლძარღვებს ამაგრებს და სასარგებლოა ასევე მარწყვი, ისპანახი, წინიბურა, პომიდორი და ასკილი.

იშემიური დაავადება, ჰიპერტონია, ვენების ვარიკოზული გაფართოება, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, ორსულობასა და ორალურ კონტრაცეპტივთა მიღებასთან დაკავშირებული ჰორმონალური ცვლილებები.

ბელი ვარჯიში, სიარული, ცურვა, სამსახურშიც მეტი იმოძრაოთ – ხშირ-ხშირად შეიცვალეთ პოზა, სკამიდან ადექით და გაიარ-გამოიარეთ.

© ინტერნეტიდან

ჭორები ანდრეიზე და ანგელინაზე

უკრაინაში ბევრს კი ჭორაობდნენ ანდრეი შევჩენკოზე – ცოლს თანამემამულე მოდელ ანგელინა პეტროვასთან დალატობსო, მაგრამ ამ ამბების გამავრცელებლებს ბოლოს მაინც შეცდომის აღიარება და ბოდიშის მოხდა მოუწიათ, რადგან მიუხედავად დიდი მცდელობებისა, მსგავსი ფაქტი ვერ დაადასტურეს.

სხვათა შორის, ანდრეისგან განსხვავებით, თავად ანგელინა ფეხბურთელთან ნაცნობობას არ უარყოფს და იძახის, რამდენჯერმე მართლა შეეხვდი „მილანის“ ან უკვე ყოფილ ლეგენდასო, მაგრამ „მო-სახდენი“ რომ ვერ მოხდა – ამას გოგოც ადასტურებს.

ანგელინა პეტროვა თქვენ ჩვეულებრივი რიგითი სლავი ლამაზ-მანი ნუ გგონიათ. ამ ქვშიმარიტად მშვენიერმა ასულმა უკვე შეძლო და უკრაინის საზღვრებს გარეთაც მოიპოვა პოპულარობა და ევროპის ბულვარული ყურნალების ყდებზეც გამოჩნდა. ერთი ისაა, რომ ჯერ იმდენს მაინც ვერ მიაღწია, რომ ნაწუკა ყოროლოიანს მიეწვია თავის შოუში. აფსუს!

როსტომ რაჭველიშვილი



© ცინცხალი ანეკდოტები

შრომითმა კომისიამ მოძველებულად ჩათვალა თბილისში მძლოლის პროფესია.

მის ნაცვლად შემოდის ახალი პროფესია – საცობებში მდგომი.

– ჩემმა ცოლმა გადაწყვიტა, რომ წონაში დაიკლოს და საცხენოსნო სპორტით დაინტერესდა.

– მერე?

– ცხენმა 5 კილოგრამი დაიკლო.

– ძვირფასო, რის გამო გიყვარვარ? – ეკითხება გოგო ბიჭს.

– შენი სილამაზის, ჭკუის, სტილის, იუმორის გრძნობის გამო, საყვარელო. შენ კი რის გამო გიყვარვარ?

– შენი დახვეწილი გემოვნების გამო.

– ალო, ეს ცხოველთა დაცვის საზოგადოებაა? გათხოვთ, გამოგზავნოთ რომელიმე თქვენი წარმომადგენელი. ჩემს ეზოში ხეზე ამძვრალი ფოსტალიონი ბულდოგს აღიზიანებს.

– რბს გრძნობს ადამიანი სიკვდილის შემდეგ?

– იმავს, რასაც ჩასახვამდე გრძნობდა.



სრ

უსხოვრი პალატის კარგი:
 აუზ ფოლარი - 2.317; პირი - 2.637;
 ბრიტანული ბიკანა სტარლინი - 3.338;
 100 რუბლი - 3.451; თურქული ლირა - 0.821;
 აზერბაიჯანული მანათი - 1.501;
 1000 სომხური დრამი - 5.818

აპრილი 2 აპრილისთვის

ალექსანდრიამ სპარტიკალს:

ბაბი -	წამი +1,	ღვთ +14
პირანი რაიონი -	წამი -7,	ღვთ +11
დასავლეთი სპარტიკალს:		
ბაბი -	წამი +4,	ღვთ +24
პირანი რაიონი -	წამი -1,	ღვთ +18
თბილისი:	წამი +4,	ღვთ +19

ჩვენი მისამართი:
 თბილისი, მინაბლის ქ. №7
 ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE

გამოიწერეთ:
 6 თვით – 60 ლარი,
 1 წლით – 120 ლარი.
 მისამართი: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2 143 906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯე-თმედი“ – 593 977 888.
 ჩვენი მისამართი:
 ქ. თბილისი, მ. მინაბლის ქ. №7
სალომუნის ინფორმაცია 66434

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
მინაბლის ქ. №7
ინფორმაცია 66434
 მთავარი რედაქტორი
სპარტიკალს
 293-37-87
 599 36-00-35
 პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიზაშვილი
 599 53-76-16;
ალექო
ასლანიშვილი
 599 56-81-86;
რუსლან რუსია
 599 17-21-21;
 პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაძე
 514 33-33-24

გამომცემლობა:
 შპს „თანამდგომარეობა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 ტ: 599 79-76-79
 შპს „ახალი საუკუნე“
 იბეჭდება გამომცემლობა „კოლორი“
 რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაჯ)070.4(479.22) ს-323
 ISSN 2233-3851
 9 772 233 385 001

ავტორთა საცხურადღებოდ!
 რედაქციის მიერ შეუკვეთილი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.